# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ ილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 11 მარტი. 2024 წ. №29 (9709) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## თუ გული გულობს, გამოსავალი მოიძებნება




4

# „ხალხი ამას არ დაუშვებს!..“

თუ ხელისუფლებამ არ მიიღო დროული პრევენციული ზომები და თუთიყუშივით იმეორა: „ხალხი ამას არ დაუშვებს“, ახლო მომავალში, შესაძლოა, საშინელ დღეში ჩავვარდეთ – ძმათამკვლელ სამოქალაქო ომშიც კი ჩაგვითრიონ!

## ტარას შევჩენკოს დაბადების 210 წლისთავი



# დიდი კობზარის „კავკასია“ ქართულად

იხ. 7 გვ.

## აზერბაიჯანთან ჩაკეტილი საზღვრის გამო ასეულობით მილიონ დოლარს ვზარალობთ!

2

## ძნელია, ეკონომიკურ პოპულიზმზე ღიმილის გარეშე ისაუბრო...

2012 წელს აშშ-ში 2-ჯერ უფრო იაფი იყო ცხოვრება, ვიდრე ახლა. საზომი არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი, აი ეს ინდექსი, აშშ-ში ორჯერ არის გაზრდილი, 3-ჯერ – გერმანიაში, 300-ჯერ – იაპონიაში, აქედან რომელი ქვეყანაა დაქცეული?! რომელ ქვეყანას აქვს ეკონომიკური სიდუხჭირე?!



სამწუხაროდ, საარჩევნო წელს არაერთხელ მოგვიწევს ეკონომიკური პოპულიზმის ჭარბი დოზით მოსმენა. ძნელია, ეკონომიკურ პოპულიზმზე ღიმილის გარეშე ისაუბრო, მაგრამ როგორც ჩანს ამ თემაზე დისკუსია მოგვიწევს. დარწმუნებული ვარ, რომ ძირითად შემთხვევებში მოსახლეობა საკმაოდ კარგად არის გაცნობიერებული ეკონომიკურ პროცესებში იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ მარტივი ტყუილები.

გიორგი აბაშიშვილი

# ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის

იხ. 6 გვ.




**პოლიტიკური ქორწინება მოსალოდნელია ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის გასაბერ ეკლესიაში**



იხ. 3 გვ.

## ვეტოების ცვენა პრეზიდენტის სასახლიდან

**მაჭუტაძე-გვარამიას ბოსტანში მელია გადაიპარა...**

## კიბოც კი სირცხვილით იწვის

იხ. 8 გვ.



# წამლის ბარიგათა შემხვედვარე!..




**აზერბაიჯანთან დაკეტილი სახმელეთო საზღვრის გამო საქართველომ 1.5 მლნ ტურისტი და 400 მლნ დოლარი დაკარგა –**

**ასეთია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შეფასება.**

# აზერბაიჯანთან ჩაკეტილი საზღვრის გამო ასეულობით მილიონ დოლარს ვზარალობთ!

**„გარკვეული პერიოდია (2020 წლის გაზაფხულიდან – რ.თ.), აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვარი ჩაკეტილია. ეს პირდაპირ ითარგმნება ციფრებში და მიუღებელ შემოსავლებში. მეტად მკაფიო რომ ვიყო, ვიტყოდი, რომ ამ ფაქტორის გამო ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა 1.5 მლნ-ზე მეტი ტურისტი, რაც დაახლოებით 400 მლნ დოლარის ეკვივალენტია მიუღებელ შემოსავლებში. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ჩვენი ტურისტული ნაკადების აღდგენა (2023 წელს) სრულად ვერ მოხდა“,** – განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ **მარიამ ქვრივიშვილმა.**

პანდემიის პრევენციის საბაბით 2 წლის წინ ჩაკეტილი სახმელეთო საზღვარი, აზერბაიჯანს დღემდე არც ერთ მეზობელთან არ გაუხსნია.

თუკი 2019 წელს აზერბაიჯანი საქართველოში ვიზიტორებით ლიდერობდა და რუსეთს, თურქეთსა და სომხეთს უსწრებდა, შარშან ის მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. საქართველოს ტურიზმში მეზობელ ქვეყნებს ტრადიციულად ყველაზე დიდი წილი უკავიათ.

პანდემიამდე (2019 წელს) აზერბაიჯანიდან 1.5 მლნ ადამიანი შემოვიდა, რომლებმაც საქართველოში 237 მლნ დოლარი დახარჯეს. 2023 წელს კი ვიზიტორების რაოდენობა 87%-ით, ხოლო მათ მიერ საქართველოში დახარჯული თანხა თითქმის 40%-ით შემცირდა.

განსხვავება ვიზიტორების რიცხვის ვარდნასა და მათ მიერ დახარჯული თანხის რაოდენობაში, გაზრდილ ინფლაციასაც უკავშირდება – ანუ საქართველოში ჩამოსულმა ტურისტებმა სავარაუდოდ უფრო მეტი დახარჯეს, ვიდრე ადრე დახარჯავდნენ.

**„იმედს ვიტოვებთ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების გადაწყვეტილება მალე შეიცვლება. რა არგუმენტი აქვს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ამ სიღრმეში ვერ შევალთ, მაგრამ სახმელეთო საზღვარი დაკეტილი აქვს ყველა მეზობელ ქვეყანასთან და საქართველო ერთადერთი არ არის“, – ამბობს მარიამ ქვრივიშვილი. საქართველოს აზერბაიჯანთან ოთხი საბაჟო-გამშვები პუნქტი აქვს: „გარდაბანი“ (სარკინიგზო); „მტკვარი“; „ლაგოდეხი“ და „წითელი ხიდი“.**

**„2020 წლიდან, აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილებით, ყველა მოსაზღვრე ქვეყნის სახმელეთო საზღვრებზე მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისა და მგზავრებისთვის საზღვრის კვეთის პროცედურები ამ დრომდე შეჩერებულია, ხოლო საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი სატვირთო ავტომობილების მიმართ, საბაჟო კონტროლის პროცედურები 24-საათიან რეჟიმში შეუფერხებლად მიმდინარეობს“,** – უთხრეს „რადიო თავისუფლებას“ შემოსავლების სამსახურში.

სახმელეთო საზღვრისგან განსხვავებით საქართველო-აზერბაიჯანს შორის საჰაერო მიმოსვლა არ შეწყვეტილა. ამ დროისთვის ორ ქვეყანას შორის ქართული ავიაკომპანია „ჯორჯიან ვინგზი“ კვირაში ორი, ხოლო „აზერბაიჯანის ავიახაზები“ კვირაში 32 სიხშირით დაფრინავს. „აზერბაიჯანის ავიახაზების“ შემთხვევაში ბაქოდან თბილისში მგზავრობა 145-240 ლარამდე ჯდება, ქართული ავიაკომპანიის შემთხვევაში ბილეთის ფასი 200 ლარს აღწევს. როგორც ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები გვეუბნებიან, მეზობლები საქართველოში ძირითადად სახმელეთო საზღვრით შემოდიოდნენ.

## დაზარალებული ტურიზმის ინდუსტრია

სასტუმრო „წყალტუბო სპა რეზორტის“ დირექტორი **ანდრო ჯიშკარიანი** გვეუბნება, რომ აზერბაიჯანელი სტუმრების ნაკლებობას განსაკუთრებით ბალნეოლოგიური კურორტები გრძნობენ.

**„აზერბაიჯანიდან დამსვენებლები მნიშვნელოვნად მხოლოდ შარშან არ შეგვიმცირდა, კოვიდის დაწყების შემდეგ ასეა. ზოგადად, ბალნეოლოგიური კურორტებისთვის აზერბაიჯანი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სხეულის გაჯანსაღება მათთვის კულტურის ნაწილია. ახლა მხოლოდ ავიარეისითაა საქართველოში მოხვედრა შესაძლებელი, ბალნეოკურორტები კი რეგიონებშია, ამიტომ ფრენის გარდა ტრანსფერის ღირებულების გადახდაც უწევთ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ წყალტუბომდეც ხომ უნდა გადაიხადონ ფული. თან თვითმფრინავის ბილეთები ძვირია, ავტომანქანით კიდე ოთხი ადამიანი მაინც ჩამოდიოდა ერთად. ამიტომ ვიზიტორების რიცხვი, როგორც ვთქვი, ძალიან შემცირდა“,** – ამბობს ის. „ინ ჯგუფი“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში – გუდაურში, ბაკურიანში, ახალციხეში, გორში სასტუმროებს ფლობს. მისი აღმასრულებელი დირექტორი ერეკლე კოკაია ამბობს, რომ აზერბაიჯანელი ტურისტების რიცხვი მათ სასტუმროებშიც ძალიან შემცირებულია.

## პანდემიის შემდეგ დაკეტილი საზღვარი

გასული წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პანდემიის გამო დაწესებული საკარანტინო ზომები 2024 წლის აპრილამდე გახანგრძლივდა, თუმცა დაზუსტებით თქმა, გახსნის თუ არა აპრილიდან ქვეყანა სახმელეთო საზღვარს, რთულია.

**„ეს მხოლოდ საქართველო-აზერბაიჯანის თემა არ არის და აზერბაიჯანს მთლიანად ჩაკეტილი აქვს სახმელეთო საზღვარი. ეს პირდაპირ კავშირშია რუსეთთან. მოგეხსენებათ, აზერბაიჯანს ოთხი სახელმწიფო საზღვარი აქვს: რუსეთთან, სომხეთთან, საქართველოსთან და ირანთან. მათთვის მხოლოდ საქართველოა მკაფიოდ გამოკვეთილი მეგობარი, თორემ არც რუსეთიდან სურს ადამიანთა დიდი ნაკადი შედიოდეს და არც ირანიდან.**

**მგონია, რომ პანდემია უფრო საბაბია, მაგრამ დღემდე ეს ითვლება ჩაკეტილი საზღვრის მიზეზად. ეს უფრო ირანისა და რუსეთის ფაქტორია და საქართველოც ამაში „მოყვა“, თუ შეიძლება ასე ითქვას“,** – ამბობს კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** და ამატებს, რომ შესაძლოა ქართული მხარე ბაქოს საზღვრის გახსნის საკითხზე ლაპარაკობს კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის აზერბაიჯანი მიდგომას არ შეცვლის.

კიდევ ერთ მიზეზად ზაქარეიშვილი ყარაბაღს ასახელებს და ამბობს, რომ ომის პერიოდში აზერბაიჯანის ხელისუფლებას სურდა რაც შეიძლება ნაკლები კრიტიკული დამკვირვებელი შესულიყო ქვეყანაში. საჰაერო გზით ჩასული ვიზიტორების შემოწმება უფრო იოლია, თან იმ პირობებში, რომ აზერბაიჯანს ბევრ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმი აქვს დაწესებული.

**მარიამ ვარადაშვილი**

## აზერბაიჯანი სომხეთისგან ოთხი სოფლის დაუყოვნებლივ გადაცემას ითხოვს

**აზერბაიჯანის სამთავრობო უწყების ინფორმაციით, არაექსკლავური ოთხი სოფელი: ბაგანის აიმი, აშაგი ასკიფარა, ჰეირიმლი და გიზილგაჯილი ოკუპირებულია სომხეთის მიერ, მათი აზერბაიჯანისთვის კუთვნილება უდავოა და ისინი დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ექვემდებარებიან.**

**აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტის სამსახურის ინფორმაციით, დელიმიტაციის პროცესის ფარგლებში ასევე გადაწყდება სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ოთხი ექსკლავური სოფლის – იუხარი ასკიფარას, სოფულუს, ბარხუდარლის და ყარქის გათავისუფლების საკითხი.**




# ნიკუშა გვარამიას „ახალი გედი“



**ნიკა გვარამიას პოლიტიკურ გუნდ „ახალს“, ახალი წევრები შეემატა, რომელთა შორის გედევან ფოფხაძეც არის.** შესაბამის ფოტოს გვარამია სოციალურ ქსელში ავრცელებს.

**„ჩემი დიდი ხნის საამაყო მეგობრები: გედი და პროფესორები“,** – წერს **გვარამია.**

შეგახსენებთ, გედევან ფოფხაძე ორი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“. 2019 წელს კი მან ფრაქცია „ქართული ოცნება“ დატოვა. მალევე ის ეკა ბესელიას პოლიტიკურ პარტიას „სამართლიანობისთვის“ შეუერთდა. 2020 წლის 7 ივნისს კი „ქართული ოცნებიდან“ წასულ სხვა დეპუტატებთან ერთად დააარსა პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსი“. საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ იგი დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა. მან ხმების 1,26% (866 ხმა) მიიღო. 23 ნოემბერს მან ეს პარტიაც დატოვა.

# დახმარება დევნილი ოჯახებისთვის

**აფხაზეთიდან დევნილ 305 ოჯახს სამეგრელოში სოციალურ-ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში პროდუქტები გადაეცა. პროდუქტები მოსახლეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ჯემალ გამახარიამ და აპარატის წევრებმა გადასცეს.**



აქციის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო და მადლობის სიგელებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანები დაჯილდოვდნენ.




# ვეტოების ცვენა პრეზიდენტის სასახლიდან

**ერთი სასიამოვნო ინფორმაციით დავიწყებ – გასულ კვირაში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მაისის თვეში გაიხსნება თბილისი-ბათუმის საავტომობილო ტრასის ზესტაფონის შემოვლითი მონაკვეთი. მშენებლებს არც თხის ნაკეთობებით მოვაჭრეთა ინტერესები დავიწყნიათ – მათთვის გამოყოფილი იქნება სპეციალური ადგილები. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლის ბოლომდე ტრასის სხვა მონაკვეთების მშენებლობის დამთავრებასაც გვპირდებიან, ეს ინფორმაცია მართლაც სასიხარულო და დამაიმედებელია.**

გასულ კვირაში საქართველოს მოძმე ისლანდიის პრეზიდენტი ესტუმრა. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ამ ქვეყანაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ეს არის ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში, ატლანტის ოკეანეში ჩაკარგული კუნძულოვანი ქვეყანა თავისი მარადიული ყინვებით, ვულკანებით, ლოდებით, ჩანჩქერებით, გეიზერებით, ცხელი მდინარეებით, ცხვრებით, ჩრდილოეთის ციალით, ჯადოსნური ელფებითა და ტროლებით. მისი მოსახლეობა დაახლოებით თბილისის ნაძალადევის რაიონისას უტოლდება – 364 000. მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი მოდის მეცხვარეობაზე, მეთევზეობასა და ტურიზმზე. ნატოს წევრია ჯერ კიდევ 1949 წლიდან. არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.

ეს, პირდაპირი გაგებით, ყინულოვანი ქვეყანა მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ქვეყნების ათეულში შედის – მისი ყოველი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი დაახლოებით 70 000 დოლარია! არ ჰყავს ჯარი, საზღვრების დაცვის სამსახური და რაიმე შეიარაღებული დანაყოფი; აქვს ციხის სიმბოლური შენობა, მაგრამ არ ჰყავს არც ერთი პატიმარი და ამიტომ ციხეზე მრავალი წელია ისლანდიის სახელმწიფო დროშა ფრიალებს. ისლანდიელები არ კეტავენ მანქანებს და სახლის კარებს; ბაზრებში არ არიან გამყიდველები – მყიდველები იღებენ სასურველ პროდუქტს და საფასურს სპეციალურ ყუთში ტოვებენ.

ამიტომაც და კიდევ ბევრი სხვა რამის გამო, ეს ერთი შეხედვით უცნაური, ლეგენდალური ვიკინგების ქვეყანა ბევრი რამით არის საინტერესო. იმედია, უახლოეს მომავალში ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი მოსახლეობა სერიოზულად დაფიქრდება ისლანდიის საიდუმლოს ამოხსნასა და მასთან ძმურ თანამშრომლობაზე. ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ისლანდიის უმაღლესი სახელისუფლებო დელეგაციის თბილისში მოწვევაც ამ მიზანს ემსახურება.

* * *

**საქართველოს ხელისუფლება და მთლიანად ქართული საღად მოაზროვნე საზოგადოება გააკვირვა და აღაშფოთა კიდეც გერმანიის ბუნდესტაგსა და ევროკავშირში ზურაბ ადეიშვილის გამოჩენამ უკრაინის ოფიციალურ დელეგაციაში. შეგახსენებთ, ეს ის ზურაბია, სააკაშვილის ხელისუფლებაში იუსტიციის მინისტრისა და შემდეგ გენერალური პროკურორის პოსტებს რომ იკავებდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა სააკაშვილის ძალადობრივ სისტემას; ვინც გასამართლებულია საქართველოში ჩადენილი ოთხი უმძიმესი დანაშაულის გამო, ელის გასამართლებას რამდენიმე არანაკლებ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და ოფიციალურად იძებნება 2013 წლიდან.**

ზურაბ ადეიშვილი კარგა ხანია, მეგობარ უკრაინაში ცხოვრობს, უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად მუშაობს და უკრაინის ხელისუფლებას ამ ოფიციალურად ძებნილი დამნაშავის საქართველოსთვის გადმოცემა არც უფიქრია. ეტყობა, უკრაინის დელეგაციის წევრის რანგში დამნაშავე ადეიშვილის ბუნდესტაგში თავხედურმა გამოჩენამ საქართველოს ხელისუფლებას მოთმინების ფიალა ბოლომდე აუვსო და გერმანიის ხელისუფლებისგან ძებნილის გადმოცემა მოითხოვა. გერმანიის პასუხი ამ მოთხოვნაზე, მე თუ მკითხავთ, ცინიკურად ბუნდოვანი იყო. იურიდიული თვალსაზრისით, ეს უარი ორ სახელმწიფოს შორის არსებული ხელშეკრულების უხეში დარღვევაა და ადრე თუ გვიან ერთობ უარყოფითად იმოქმედებს გერმანიის, ევროპის ერთი უდიდესი ქვეყნის რეპუტაციაზე. ზარემ იმასაც ვიტყვი, რომ ქართულ ოპოზიციას ამ ფაქტის შესახებ რაიმე გარკვეული მოსაზრება არ გამოუთქვამს.

## მაჭუტაძე–გვარამიას ბოსტანში მელია გადაიპარა...



* * *

**გასულ კვირაში კიდევ ერთი სკანდალის აგორება სცადა „ჩვენმა“ ამერიკულმა „რადიო თავისუფლებამ“. გთხოვთ, ნუ შეგაცდენთ ის ფაქტი, რომ რადიოს ჰქვია „თავისუფლება“ და მისი წამყვანები ქართულად გვესაუბრებიან – ეს გახლავთ ამერიკული რადიო, ემსახურება ამერიკის ინტერესებს, ასრულებს ამერიკის სპეცსამსახურების დავალებებს და სულაც არ არის თავისუფალი.**

ამიტომ უცხო და გასაკვირი არ უნდა იყოს ამ რადიოს სახელით ქალბატონ ნასტასია არაბულის მიერ ჩატარებული „ჟურნალისტური გამოძიება“. მისი თქმით, „საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებსაც, შეიძლება რუსეთი სანქცირებული, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შესაძენად იყენებდეს. „რადიო თავისუფლებამ“ მოიპოვა დოკუმენტი, სადაც ჩანს, რომ საქართველომ 2022 წლიდან, უკრაინაში ომის პარალელურად, 3370%-ით გაზარდა აშშ-დან მიკროჩიპების იმპორტი“.

სტატიაში ნათქვამია, რომ ბოლო წლის განმავლობაში საქართველომ თურმე ამერიკიდან საქართველოში აერო და კოსმოსური ნავიგაციისთვის საჭირო ხელსაწყოების იმპორტი გაზარდა ექვსჯერ; ინტეგრალური სქემებისა – ათჯერ; გაიზარდა ნახევარგამტარების იმპორტი და ა.შ.

**ჩემდა სამარცხვინოდ, ქალბატონი ნასტასიასგან განსხვავებით აშშ-ის პეცსამსახურების მონაცემებზე ჯერჯერობით ხელი არ მიმიწვდება, მაგრამ საკმაოდ ადვილად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა საქსტატის მონაცემები (GEISTAT.GE), რაც რადიკალურად განსხვავდება „თავისუფლების“ მონაცემებისგან. ციფრებით არ დაგღლით, მაგრამ თავს უფლებას მივცემ გითხრათ, რომ საქსტატის მონაცემები „თავისუფლების“ მონაცემებთან შედარებით პროცენტულად და თანხობრივად იმდენად გრანდიოზულია, გამომძიებელ ჟურნალისტს ფრთების განუზომლად უფრო ფართოდ გაშლის საშუალებას რომ მისცემდა. როგორც კოლეგამ და პროფესიონალმა გამომძიებელმა ჟურნალისტმა შემიძლია ქალბატონ ნასტასიას დიდი მოკრძალებით ვურჩიო: თუ გინდათ, ჟურნალისტური გამოძიება წარმატებით ჩაატაროთ და სასაცილო ვითარებაში არ აღმოჩნდეთ, ყველა დაპირისპირებული მხარის მასალები უნდა მოიპოვოთ, შეისწავლოთ, გააანალიზოთ და დასკვნები მერე გამოიტანოთ. მით უფრო, თუ ეს მასალები ადვილად ხელმისაწვდომია. სხვანაირად, თქვენს ჟურნალისტურ რეპუტაციას, შესაძლოა, სასიკვდილო საფრთხე დაემუქროს.**

თუმცა, ამ ცოტა უცნაურ აბრაკადაბრაში ჟურნალისტიკა არაფერ შუაშია – რომელიღაც ჩვენს დიდად მოამაგე „მეგობარს“ სურს საქართველო რუსეთთან საიდუმლო ვაჭრობაში „ამხილოს“ – ამერიკიდან საქართველოში შემოედინება რაღაც საქონელი, შემდეგ ეს საქონელი გაედინება შუა აზიაში და იქედან შედის რუსეთში...

ქალბატონ ნასტასია არაბულს კი, მოდი, ნუ განვსჯით – უჩინარმა „უფროსებმა“ იგი, უბრალოდ გამოიყენეს და, მაპატიეთ, დასცინეს კიდეც.

* * *

**გასულ კვირაში ისლანდიის დელეგაციის მასპინძლობით და, საერთოდ, საპრეზიდენტო საქმიანობაში ყელამდე ჩაფლულმა ქალბატონმა სალომემ კიდევ ერთხელ მოიცალა, კიდევ ერთხელ გაშალა კალთა და პარლამენტს ვეტოები ძველებური უშურველობით გადმოაყარა. ამჯერად ვეტო დაადო საქართველოს მხარის მიერ ძია შარლ მიშელთან უკვე შეთანხმებულ და პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანილ ცვლილებებს ცესკოს ხელმძღვანელობის არჩევის შესახებ.**

შეგახსენებთ, რომ ბოლო დრომდე მოქმედი წესით, პარლამენტი ცესკოს თავმჯდომარეს ამტკიცებდა საკონსტიტუციო უმრავლესობით, ანუ საჭირო იყო 90 ხმაზე მეტი. პრინციპულად ჯიუტი ოპოზიციის გამო, ეს ვერ ხერხდებოდა და პარლამენტი იძულებული იყო თავისი კანდიდატი უბრალო უმრავლესობით მხოლოდ 6 თვით დაემტკიცებინა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ისევ ექვსი თვით და ა. შ. რაც შეეხება მის მოადგილეს, იგი აუცილებლად ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ჩვენი დიდი მეგობარი „ვენეციის კომისია“ ცესკოს მოადგილის თანამდებობაზე ოპოზიციონერის დანიშვნას არ ითხოვს.

ახალი (დავეტოებული) წესის მიხედვით, პარლამენტი ცესკოს თავმჯდომარეს ამტკიცებს უბრალო უმრავლესობით (75-ზე მეტი მომხრე), ხოლო მისი მოადგილეობისათვის აუქმებს ოპოზიციონერობის ვალდებულებას. საპარლამენტო უმრავლესობა გვაიმედებს, რომ ამ კვირაში პრეზიდენტის ვეტოს უპრობლემოდ დაძლევს და ცესკოს ხელმძღვანელობას დაამტკიცებს.

* * *

**ქართულ პოლიტიკაში ისეთი და იმდენი უცნაურობა ხდება, წესით, არაფერმა უნდა გაგვაკვირვოს. თუმცა, ამ ფონზეც კი, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ უცნაურად გამოიყურება ე.წ. LGBT თემთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. ვგულისხმობ, საპარლამენტო უმრავლესობის განზრახვას გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე. საუბარია არა ამ უკუღმართობის აკრძალვის, ან უკუღმართების (ლესბოსელები, მამათმავლები, პედოფილები, გერონტოფილები...) დევნისა და დასჯის, არამედ პროპაგანდის აკრძალვაზე.**

საპარლამენტო (და არასაპარლამენტო) ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს არის ადამიანის უფლებების შემლახავი, არაფრისმომცემი გადაწყვეტილება; რომ პროპაგანდა ხელს არ უწყობს ამ მომაკვდინებელი სენის გავრცელებას; რომ მამათმავლები, პედოფილები, ლესბოსელები, გერონტოფილები არ მრავლდებიან მათი „საქმიანობის“ პროპაგანდის წყალობით... გვარს არ დავასახელებ და, ერთ-ერთ მამალ ნაცს ამის დასადასტურებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში პარლამენტში „უკუღმართების“ რაოდენობა არ გაზრდილა. მეორე მამლის მტკიცებით, ეს იმდენად უმნიშვნელო რამეა, ყურადღებასაც რომ არ იმსახურებს. დედალი პარლამენტარები ან საერთოდ არ გამოთქვამენ აზრს, ან თავის მამალ კოლეგებს ეთანხმებიან. ზუსტად იგივე დამოკიდებულებაა ამერიკიდან და ევროკავშირიდან ჩვენი ევროპელი და ამერიკელი „იმანოების“ (აბა, „ბატონებად“ და „ქალბატონებად“ ხომ ვერ მოვიხსენიებ!) დაჟინებულ მოწოდება-მოთხოვნებზე სქესის მიხედვით განმასხვავებელი ტერმინოლოგიის გაიგივებაზე.

ბოდიშის მოხდით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ქართული ოპოზიციის, მისი ოკეანის გაღმელ-გამოღმელი მფარველების ღრმა რწმენით, „უკუღმართების“, ნარკომანების, უვიცების, გონებასუსტების, ბელადებზე შეყვარებულების მართვა, მათი ნებისმიერ ავანტურაში, თუნდაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ჩათრევა ძალიან ადვილია. ამიტომაც დაჟინებით ცდილობენ ასეთების გამრავლებას და მათზე ხელის დაფარებას. ბუნებრივია, არ მოსწონთ, თუ ვინმე სიმართლეს დაინახავს. ეს არის და ეს.

* * *

**იმედია, დანაპირებს აგვისრულებს და დღესხვალ ყველაფერს ნათელი მოეფინება, ჯერჯერობით კი ბატონი ნიკა მელიასგან ის ვიცით, რომ საპარლამენტო არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვებისთვის მისი პარტია არც ნაცებს შეუერთდება, არც ქოცებს და არც დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიას.**

ან რაში სჭირდება, როცა აგერაა ბუმბერაზი მაჭუტაძე თავისი „ძალა ერთობაშია“ პარტიით, საპარლამენტო ფრაქციით და თვით დიდი პოლიტიკოსის, პაატა ბურჭულაძის ფაქიზად ნახმარი პარტიული საარჩევნო ნომრით – 4! ამით ბატონი მელია მაგიური ხუთიანით მოკეკლუცე ნაცმოძრაობას ხომ გადაუსწრებს, სადღაც ორღობის ბოლოს, 37 ბოძის იქით ჩამოიტოვებს 41-ე „ოცნებასაც“. კულუარებში იმასაც ჩურჩულებენ, რომ შესაძლოა, ამ ძლევამოსილ დუეტს თვით ნიკა გვარამიაც შეუერთდეს. აი, მაშინ კი საპარლამენტო არჩევნები სრულ ფორმალობად გადაიქცევა – სამ ნიკას წინ ვეღარაფერი დაუდგება. სავსებით შესაძლებელია, ამ ტრიოს თავისი ჯერჯერობით არარსებული პარტიითა და სიტყვაკაზმულობით განთქმული პრეზიდენტიც შეუერთდეს – გემახსოვრებათ, რა სითბოთი და სიყვარულით მოიხსენიებდა, გვარს არ დავასახელებ, ერთ-ერთი ნიკა ჩვენს ერთადერთ დედა-პრეზიდენტს! სავარაუდოდ, ნიკასგან მრავალჯერ კეთილნახსენები პრეზიდენტიც არ დაივიწყებს მის ამაგს.

პრეზიდენტის მხრიდან ამაგის დაუვიწყებლობისა და მოსყიდვის კლასიკური მაგალითია გასულ კვირაში ბაია პატარაიასა და მისი ამქრის ღირსების ორდენებით დაჯილდოება. სხვა არაფერი დაგვრჩენია, ტაში შემოვკრათ და თვალცრემლიანებმა შემოვძახოთ: **ბრავო, პრეზიდენტ, ბრავო!**

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს ნაპრეზიდენტალი, მაპატიეთ, საქართველოს მარადიული პრეზიდენტი, პუტინის პატიმარი, ზელენსკისა და მსოფლიო ისტორიაში ყველა ცოცხალი და მკვდარი პრეზიდენტის მეგობარი სააკაშვილი, როცა მისი გამოზრდილი მელიას ღალატს, – მაჭუტაძე-გვარამიას ბოსტანში გადაპარვას, – შეიტყობს. ღმერთმა დამიფაროს, წამითაც კი გულში არ გამივლია, რომ თუნდაც ათი ათასი მელიასნაირის ღალატი მრავალი მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ და მრავალი დანაშაულისთვის გასასამართლებლად გამზადებულ უკრაინის მოქალაქე პატიმარს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ხელს შეუშლის. ამას სააკაშვილის ალალი მომხრეების დასამშვიდებლად ვამბობ.

* * *

**გასულ კვირაში კვლავ გრძელდებოდა რუსეთ-უკრაინის სისხლისმღვრელი ომი. ვრცელდებოდა ინფორმაციები დანგრეული და გაპარტახებული დასახლებული პუნქტების, დახოცილი და უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანების შესახებ.**

გავრცელდა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებები უკრაინისთვის იარაღითა და ფულით დახმარებისა და რუსეთის დამარცხების აუცილებლობაზე (არა, ამერიკელ ჯარისკაცებს ამ ომში არ გავგზავნითო!); პარალელურად, პრეზიდენტობისთვის მებრძოლი დონალდ ტრამპის კატეგორიული განცხადება რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერებაზე. მოვისმინეთ ევროპული ქვეყნებისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელების საინტერესო და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიც.

გასულ კვირაში არანაკლებ დაძაბული ვითარება სუფევდა მახლობელ აღმოსავლეთში ისრაელ-პალესტინის ომის გამო.



არ დამვიწყებია – რვა მარტის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო, სიკეთე და ბედნიერება თქვენ!

**თეიმურაზ ქორიძე**

11.03.2024

„მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება იგეგმება“.

**სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური**

18 სექტემბერი, 2023

**მართალია, სუს-ის ეს განცხადება რამდენიმე თვის წინანდელია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ საფრთხემ ჩაიარა და უნდა დავმშვიდდეთ.**



# „ხალხი ამას არ დაუშვებს!..“

## „ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ!..“

**„ხალხი ამას არ დაუშვებს“** (ანუ ნაცების მოგრუნებას ხელისუფლების სათავეში) და, ასევე – **„ხალხი მაგათ გადაუვლის“,** – დიდი ხანია და ძალიან ხშირად გვესმის, განსაკუთრებით, ბოლო ერთი წელია. გვესმის, თანაც, არა მხოლოდ ე.წ. რიგითი მოქალაქეებისგან ან ზოგიერთი პოლიტოლოგ-ანალიტიკოსისგან, არამედ, რაც ძალზე საგანგაშოა, – ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც.

ის, რაც ეპატიება ხალხს – სიტყვები იქნება ეს თუ ქმედება, არ ეპატიება მის მიერ სახელმწიფოს სამართავად არჩეულ პირებს. დიახ, ხელისუფლებაში არმყოფი ადამიანები (ჟურნალისტ-პუბლიცისტები, პოლიტოლოგები, ანალიტიკოსები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და ა.შ.) სისტემატურად უნდა ლაპარაკობდნენ და თავიანთი კრიტიკული სიტყვით, რჩევებითაც მუდმივად ტონუსში უნდა ამყოფებდნენ ხელისუფლებას და ეხმარებოდნენ კიდეც მას ქვეყნის მართვაში. **ხელისუფლებისგან კი ოპერატიულ და სამართლიან ქმედებას(!) ველით და, არა – დანაშაულის ჩამდენების სიტყვიერ მხილებას!** ამჟამინდელი ხელისუფლება ასეც იქცევა, ოღონდ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა – იგი ვერ უბედავს ხელის ხლებას „ნაცმოძრაობის“ და მისი განაყოფი პატარა „ნაცუკების“ ლიდერებს და აქტივისტებს. ისინი და მათი ბელადი ხალხს უამრავჯერ ჰყავს მხილებული და სათანადო სიტყვებითაც „შემკობილი“ და, ხელისუფლებაც არანაკლები ეპითეტებით, ხმაშეწყობილი გამოძახილით პასუხობს. ხმაშეწყობილი სიმღერა გადასარევია, ხალხთან ხმაშეწყობილად ანუ ერთ აზრზე ყოფნა ხომ „კარგზე კარგია“, მაგრამ მარტო სიმღერით სოფელი არათუ შენდება, არამედ იმ სტაგნაციასაც ვერ აღწევს თავს, რომელშიც ათეული წლებია იმყოფება.

**მარტო კრიტიკამ, ლანძღვა-გინებამ და მუქარამ, მიმალულ-გასუსული ნაცები პოლიტიკურად ვერ დაასამარა და, მოხდა პირიქით – 12-წლიანმა(!) ე.წ. კოჰაბიტაციამ იქამდე მიგვიყვანა, რომ „ნაცმოძრაობამ“ იბარტყა, მისი კრიმინალი ლიდერი კი, ვის კისერზეც ათეულ ათასობით გაუბედურებული ადამიანის ცოდვაა, ციხის საკანში გამოკეტვის ნაცვლად, სამედიცინო კლინიკის ლუქს-პალატაში ნებივრობს კომფორტულ პირობებში და, აქეთ გვემუქრება მეორედ მოსვლით და გადატრიალებით! ამაში გასაკვირი არც არაფერია, რადგანაც ხელისუფლების მიერ დანერგილი დაუსჯელობის სინდრომი, თანაც, მხოლოდ ერთი მიმდინარეობა-პარტიების დამნაშავეებისთვის დაწესებული, სხვა შედეგს ვერ გამოიღებდა და ვერც მომავალში გამოიღებს! ის კი არა, შესაძლოა, უფრო უარესადაც კი გაგრძელდეს, თუკი ხელისუფლება მიღებული „რეკომენდაციების“ მიხედვით იმოქმედებს და ძალაუფლებას ნაცებს გადაულოცავს „ხავერდოვნად“ დასავლეთის ვირეშმაკურად ჩაფიქრებულ კოალიციურ მთავრობაში!**

როდესაც პარტიას ან ადამიანთა ჯგუფს დამნაშავეებს უწოდებ პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან და, ამის მიუხედავად, საბრალდებო სკამზე დასმის ნაცვლად გვერდით მოისვამ სახელისუფლებო სავარძლებში, მათი თანამონაწილე ხდები. **ნებისმიერი, ვისაც კი შენ დამნაშავედ თვლი, – ან უნდა გაასამართლო, ანდა – შეწყვიტო არაფრის მომტანი სიტყვიერი ბრალდებები, ვინაიდან, თუ ვერ ასამართლებ, მაშინ ეს შენს უსუსურობაზე ღაღადებს და, ცილისმწამებელიც გამოდიხარ!** როდესაც „კანონიერ“ ქურდებთან კონტაქტებისთვის (მხოლოდ კონტაქტებისთვის!) მათ ბავშვობის მეგობარ-მეზობლებს და ნათესავებს აპატიმრებ, თავად კი დამნაშავე ნაცმოძრაობის წევრებთან ერთად ზიხარ პარლამენტში და, **აქეთ სთხოვ სახელმწიფოს მართვაში, კანონების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას, ამას აბსურდს დავარქმევდი!**




**თუ ხელისუფლებამ არ მიიღო დროული პრევენციული ზომები და თუთიყუშივით იმეორა: „ხალხი ამას არ დაუშვებს“, ახლო მომავალში, შესაძლოა, საშინელ დღეში ჩავვარდეთ - ძმათამკვლელ სამოქალაქო ომშიც კი ჩაგვითრიონ!**

**ე.წ. კოლექტიური დასავლეთი ოპოზიციის მეშვეობით არეულობას და გადატრიალებას იმიტომ გეგმავს, რომ იცის, მშვიდობიანი ანუ არჩევნების გზით „ქართულ ოცნებას“ და მისი მხარდამჭერი მოსახლეობის უმრავლესობას 2024 წლის შემოდგომაზე ვერ დაამარცხებს. მოსალოდნელი არეულობა-გადატრიალების მცდელობის შესახებ არა მხოლოდ „სუს“-ი, არამედ სხვებიც ლაპარაკობდნენ და, არა მხოლოდ ჩვენთან, – უცხოეთშიც. ჩვენი ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, ხალხის იმედზეა.**

ერთი ცნობილი და პატივსაცემი ანალიტიკოსი უფრო აკონკრეტებს: **„ერის მოაზროვნე ნაწილი კიდევ ერთხელ 9-წლიან სისხლიან დიქტატურას არ დაუშვებს“!** კი, მაგრამ როგორ? როგორ აღუდგება ხალხი ყველაფერზე წამსვლელ ძალას? სადმე გინახავთ, რომ სისხლიანი დიქტატურის მომხრეებს, რომლებსაც გარედან აქვთ დიდი მხარდაჭერა, მოაზროვნე ნაწილი დაპირისპირებოდეს და გაემარჯვოს კიდეც, მით უფრო პაციფისტური ხერხებით (გავიხსენოთ ნაცების საწინააღმდეგო 15-16 წლის წინანდელი უშედეგო 100-ათასიანი ლამის პერმანენტული მიტინგები)? განა შეიძლება შეუიარაღებელი(!) ხალხი, თუნდაც, უმრავლესობა გადატრიალების არდაშვების გარანტი იყოს? რა თქმა უნდა, – არა! „ხალხი ამას არ დაუშვებს!“ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ძალზე საშიშ მასშტაბურ სამოქალაქო დაპირისპირებას. შესაძლებელია საქმე აქამდე არც კი მივიდეს და ოპოზიციამ მისი მხარდამჭერი შეიარაღებული ექსტრემისტული ჯგუფების დახმარებით სწრაფადვე მოახერხოს ძალაუფლების ხელში აღება. **სახელისუფლებო გადატრიალებისთვის ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა სრულებითაც არ არის აუცილებელი,** ამისთვის სამხედრო გამოცდილების მქონე რამდენიმე ათასი შეიარაღებული ადამიანი სრულიად საკმარისია ხოლმე. იმის გათვალისწინებით, რომ ძალოვან სტრუქტურებში, სადაც ძირეული წმენდა არ ჩატარებულა, საკმაოდ ბევრი „მიშისტია“, იმ ხელისუფლების დამხობა, რომელსაც მოლოტოვის კოქტეილით აალებული ერთი მანქანის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდის, არც ისე ძნელი წარმოსადგენია!

* * *

**ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, საქმე მთლად ასე უიმედოდაც არ უნდა იყოს, ვინაიდან ხელისუფლებას საკმარისად ჰყავს ერთგული ძალები, რომლებიც ოპოზიციად წოდებულ ძალებს და მათ მხარდამჭერებსაც, თუნდაც, შეიარაღებულებს, ადვილად გაუსწორდება.**

ამის შესახებ ჩვენზე უკეთ გადატრიალება-რევოლუციების მოწყობაში გაწაფულ ამერიკას მოეხსენება და, სწორედ ამიტომ, უკრაინაში მებრძოლი „ქართული ლეგიონიდან“ იგი ათასეულს (შესაძლოა, მეტსაც!) ამზადებს საქართველოში გადმოსასროლად – ოპოზიციის დასახმარებლად! პოლონეთის საზღვრის სიახლოვეს არსებულ ბაზაზე ამ მებრძოლებს, სამხედრო გადატრიალებისთვის საჭირო სპეციალურ წვრთნებს უტარებენ (აბა, სამხედრო გამოცდილება მათ არ აკლიათ!). ნაცოპოზიციას სწორედ მათი იმედი აქვს. ცნობისათვის: „ქართული ლეგიონი“ მსოფლიოში უმსხვილესმა ამერიკულმა საინვესტიციო კორპორაციამ Black Rock-მა გამოისყიდა **ზელენსკისგან**, რომელმაც (ერთი ლეგიონი რა მოსატანია), პრაქტიკულად, მთელი უკრაინა მიჰყიდა მას (ამ უმდიდრეს კორპორაციას, მის ხელთ არსებული წარმოუდგენელი ფინანსური შესაძლებლობების გამო, – 9.1 ტრილიონი დოლარის აქტივებით, – „ხელისუფლების მეოთხე შტოს“ უწოდებს Blomberg-ი, ფინანსური ინფორმაციის მომწოდებელი წამყვანი ამერიკული სააგენტო).

ეს, გარემოება, ცხადია, ვითარებას ართულებს, მაგრამ სამხედრო ძალების და პოლიციელთა რაოდენობის გათვალისწინებით სახელმწიფოსთვის არც ეს არ უნდა იყოს ძნელად გადასაჭრელი პრობლემა, თუ იგი დროულად და გაბედულად გაატარებს პრევენციულ ზომებს – ჩანასახშივე ალაგმავს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისკენ ან მეორე ფრონტის გახსნისკენ მომწოდებელ პარტიებს და ცალკეულ პირებს. ცხადია, სასჯელიც და ჯარიმებიც პროგრესირებადი (ჯერადობით ზრდადი!) უნდა იყოს, და, არა ისეთი, როგორც დღეს გვაქვს, როცა ამ ჯარიმებს ადვილად ფარავს უცხოეთიდან დაფინანსებული, სპეციალურად არეულობის მომწყობთა წასახალისებლად შექმნილი ორგანიზაცია GDI **(საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა).**

არაფრის შიში არ გვექნებოდა, ხელისუფლების უსუსურობას რომ არ ვუყურებდეთ დაწყებული 2012 წლიდან! **თუ სახელმწიფოს(!), ჯარს სათავეში სუსტი პიროვნება, გაუბედავი სარდალი უდგას, მისი საქმე წასულია, იგი დაღუპვისთვისაა განწირული!** ამის მაგალითები უამრავი იცის ისტორიამ!

ჰოდა, საქმეც ამაშია – ამჟამინდელი მდგომარეობა ოპტიმიზმისთვის არ ტოვებს ადგილს: ჩვენი შეშინებული და ნაცოპოზიციასთან ნებისმიერ დათმობაზე წამსვლელი ხელისუფლებისგან რაღას უნდა მოველოდეთ მომავალში, როდესაც დიდი ალბათობით „მოლოტოვს“ „კალაშნიკოვი“ დაემატება და სნაიპერული „ვინტოვკაც“. დავიჯერო, უცებ გარდაიქმნება, სახელმწიფოებრივ ნაბიჯებს უშიშრად გადადგამს და კუდით ქვას ასროლინებს რევანშმოწყურებულ ნაცმოძრაობას? ეს ძნელად წარმოსადგენია, რადგანაც ამას ჭეშმარიტი, ქვეყნისთვის თავდადებული და ქარიზმატული ლიდერი სჭირდება, რომელიც დაქსაქსული პატრიოტული ძალების გაერთიანებას შეძლებს.

წლებია, აუდიოჩანაწერებიდან გვესმოდა **სააკაშვილის** მიერ **გვარამიასა** და მისნაირებისთვის მიცემული, შეიარაღებული გადატრიალებისთვის გამიზნული მითითებები უკრაინიდან და, მიუხედავად ამისა, მაინც არავინ დაუსჯიათ! ჰოდა, როდესაც პატრიოტულად განწყობილი ძალები ხელისუფლების დანაშაულებრივ უმწეობას უყურებს როდესაც მხოლოდ ცარიელ სიტყვებს ისმენს და, თან ხედავს უკვე კარზე მომდგარ რეალურ საფრთხეს, ეს ძალები იძულებულნი არიან თავად შექმნან „მაიდნის“ საწინააღმდეგო „ანტიმაიდანი“ და ამით დაიცვან საკუთარი თავი და ქართული სახელმწიფო.

* * *

**თითქოს შესანიშნავია** – მოსალოდნელ, ჩვენი ქვეყნის დამაქცევარ ჭირს, **კიევურ „მაიდანს“, უპირისპირდება** საქართველოს და ქართველი ხალხის მომავალზე მაფიქრალი ადამიანების ძალა, – **თბილისური „ანტიმაიდანი“.**

თითქოს, მაგრამ მთლად ასეც არ არის: თუკი სროლა ატყდა, თუნდაც, კანტი-კუნტად, მსხვერპლი ორივე მხარეს იქნება, ისევე, როგორც ეს კაიროში, კიევში და სხვაგან იყო, ეს გადატრიალების კლასიკური სცენარია. ამტყდარ ქაოსში კი იმის გარკვევაც შეუძლებელი იქნება, თუ ვისა აქვს იარაღი და ვინ ვის ესვრის (როგორც წესი, სნაიპერები მოშორებით არსებულ შენობებში არიან განლაგებულნი და ორივე დაპისპირებულ მხარეს ესვრიან ხოლმე).

ამიტომ, მიმაჩნია, რომ დოქტრინა – **„ხალხი ამას არ დაუშვებს“ მხოლოდ ერთადერთ შედეგს გამოიღებს – ომს, ქვეყნის დაღუპვას და მტრის გახარებას!**

კი მაგრამ, რამ მიგვიყვანა აქამდე და, თანაც, ასე მალე? **ბიძინა ივანიშვილის** გამოჩენა 2011-ში, „ქართული ოცნების“ გამარჯვება 2012 წლის ოქტომბერში და სისხლიანი „ნაცების“ უსისხლოდ მოშორება, უბედნიერესი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ უკვე ნოემბერში მის გაკრიტიკებას დავიწყებდი, დეკემბერში კი, პარლამენტის პირველივე სხდომის შემხედვარე, საგაზეთო წერილში – **„რას ვითხოვდით, რას გვპირდებოდნენ და რას გვთავაზობენ დღეს – არჩევნებიდან ორი თვის თავზე“**, – ზუსტ დიაგნოზსაც თუ დავუსვამდი: **„ნაცების“ გუნდისთვის ხელის შეშველებით, ციხეში გამწესების ნაცვლად ამნისტიის შეთავაზებით, შესაძლოა, მომავალში „ქართული ოცნება“ და „ნაცური“ სინამდვილე ერთმანეთისგან ხეირიანად ვერც კი გავარჩიოთ“!** ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ახდა, ჩვენდა სამწუხაროდ! მას შემდეგ მარტომე 100-მდე კრიტიკული წერილი „მივუძღვენი“ „ოცნებას“ (სხვა გულგატეხილების ასობით თუ ათასობით წერილზე რომ არაფერი ვთქვა), მაგრამ, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: „წერე და იკითხეო“, – მართლაც, არაფერი არ შეცვლილა.

მიუხედავად ყველაფრისა, „ოცნების“ მომხრეობიდან დამნაშავე „ნაცების“ ბანაკში ყოფნის და მათი დაცვის სურვილი ერთი წამითაც არ გამჩენია, თუმცა, რაღა თქმა უნდა, სხვა – კონსერვატიული შინაარსის მქონე ძალების გულშემატკივარი კი გავხდი.



**იაკობ ლეჟავა**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



# „ვიქტორ ნოზაძის მეტყველებანი“

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მურმან თავდიშვილი ცნობილი რუსთველოლოგია. თავის დროზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდა „რელიგიაში“, „ცისკარში“, „მნათობში“, „განთიადში“. ეს იყო გამოხმაურებები ემიგრანტი რუსთველოლოგის ვიკტორ ნოზაძის უზარმაზარ ტომეულებზე. პროფესორმა თავდიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ნოზაძის გამოკვლევები და ყოველ ცალკე ტომს (მაშინ სულ შვიდი ტომი იყო საქართველოში ცნობილი) ვრცელი სტატიები მიუძღვნა.**

ვიკტორ ნოზაძე უდიდესი რუსთველოლოგია. იგი უცხოეთში მოღვაწეობდა და მას არ ზღუდავდა არავითარი პოლიტიკური და კორპორატიული წნეხი. ამიტომაც რუსთველოლოგიურ პრობლემებს უფრო თამამად ეკიდებოდა და უფრო თავისუფლად აზროვნებდა, ვიდრე საბჭოთა მკვლევრები. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ამ გმირული გამოკვლევების მეცნიერულ მნიშვნელობას. საგულისხმოა, რომ ყველა ეს უზარმაზარი ფორმატის ტომი თბილისის ცენტრალურ ბიბლიოთეკებშიც არ მოიპოვება, მ. თავდიშვილის პირად ბიბლიოთეკაში კი ყველა მათგანი ინახება!

მართალია, ნოზაძის ნარკვევთა ცალკეულ საკითხებს მკვლევრები ასე თუ ისე შეხებიან, გამოუყენებიათ კიდეც, თუმცა ხშირად არც კი მიუთითებიათ, ოღონდ **არავის უცდია მთელი მისი შემოქმედების მონოგრაფიულად განხილვა**. ეს საქმე შესანიშნავად განახორციელა „ვეფხისტყაოსნის“ 60 ახალი სტროფის აღმომჩენმა, რომლის წიგნს ასე ეწოდება – „ვიკტორ ნოზაძის მეტყველებანი“ (2024).




ისიც სათქმელია, რომ მონოგრაფიული გამოკვლევა იკითხება ლაღად, რამეთუ ავტორი ცნობილი მოქართულე სტილისტია. ამიტომ მითითებული წიგნის გამოცემა რუსთველოლოგიის წინსვლად მიგვაჩნია; დარწმუნებული ვართ: მეცნიერისა და ქართული მეცნიერების ამ გამარჯვებას მკითხველი დიდი სიამოვნებით მიიღებს და გაეცნობა.

**ასრათ ასრათოვი,**
**გურამ გვენეტაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები

# მალთაყვაში ახალი ნიჩბოსნობისა და კანოეს ბაზა გვექნება

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა ფოთში, მალთაყვაში ნიჩბოსნობისა და კანოეს ბაზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.**

ბაზის მშენებლობა სამინისტროს ინიციატივით 2023 წელს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის დასრულება 2024 წლის სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

ბაზა მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სავარჯიშო, სპორტსმენების საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სივრცეებს. პროექტის ბიუჯეტია 6 628 698 ლარი. ფოთს ქართული ნიჩბოსნობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. XX საუკუნეში აქ ნიჩბოსნობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქალაქში მოსამზადებლად ჩადიოდნენ იმ დროის საუკეთესო სპორტსმენები. სწორედ ფოთიდან იყო ლეგენდარული ნიჩბოსანი ვიქტორ კრატასიუკი, რომელმაც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა.

აღსანიშნავია, რომ მალთაყვის აკვატორია მდიდარია წყლით, რაც საწყლოსნო სახეობების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ფოთში არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ზამთარში წყალი არ იყინება, რაც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევთ, ზამთარშიც უწყვეტად შეძლონ ვარჯიში. წლების განმავლობაში წყალთან ახლოს ბაზის არარსებობის გამო ნიჩბოსნებს ვარჯიშის პროცესში არაერთი პრობლემა ექმნებოდათ, მათ შორის სპორტსმენებს ნავებისა და სპეციალური ეკიპირების ხელით ტარებაც დიდ მანძილზე უწევდათ, ბაზის დასრულების შემდეგ კი ეს პრობლემები მთლიანად აღმოიფხვრება.



2021 წელს თეა წულუკიანი ფოთში მდებარე მალთაყვის ნიჩბოსნობისა და კანოეს ყოფილი ბაზის ტერიტორიას ესტუმრა და იქ არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო, რის შემდგომაც ბაზის აღდგენა დაიგეგმა.

# წერილი რედაქციას

**ბატონო რედაქტორო!**

**თქვენს გაზეთში, ა. წ. 6 მარტს, პირველ გვერდზე, გამოქვეყნდა ჟურნალისტ ალეკო ასლანიშვილის სტატიიდან ამონარიდი, სადაც იგი გმობს სალომე ზურაბიშვილს იმის გამო, რომ მან თენგიზ სიგუას მიულოცა დიქტატორის, სინამდვილეში კი, დიდი პატრიოტის – ზ. გამსახურდიას დამხობა.**

**სახტად დავრჩი, რადგან ბატონი ა. ასლანიშვილი გახლდათ თქვენი გაზეთის რედაქტორის მოადგილე, როდესაც ამავე გაზეთში, 1992 წლის 25 აგვისტოს, გამოქვეყნდა ზ. გამსახურდიას მიმართვა ქ. გროზნოდან, აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ჩრდილო კავკასიელებისადმი, რომ იგი მზად არის, ჩადგეს მათ რიგებში, როგორც რიგითი მებრძოლი!**

**ვეღარ გავიგე, როდის იყო მართალი ჟურნალისტი ალეკო ასლანიშვილი – მაშინ თუ ახლა?! ის, რომ ს. ზურაბიშვილის სახით გვყავს თახსირი პრეზიდენტი, ამაში სრულიად ვეთანხმები ა. ასლანიშვილს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ისტორიული ჭეშმარიტების უგულებელყოფის ხარჯზე.**

პატივისცემით,

**ვიქტორ რცხილაძე**




## მადლიერების სტრიქონები

# თვალისჩინი დამიბრუნეს!

**შარშანდელმა გიორგობისთვემ ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და თვალისჩინთან ერთად ხვალინდელი დღის რწმენა და ინტერესიც დამიბრუნა. ყველაფერი კი ორთაჭალაში, კრწანისის ქუჩაზე დაიწყო, სადაც სამი წლის განმავლობაში უშედეგოდ დავდიოდი.**

სწორედ მაშინ შევხვდი შემთხვევით ლაზერული ტექნოლოგიების თვალის მიკროქირურგიის ეროვნული ცენტრის „ნიუ ჰოსპიტალსის“ ახალგაზრდა, ოქროსხელება ქირურგს **გრიგოლ ქამუშაძეს,** რომელიც დამპირდა, მალე ქვეყანას სულ სხვა თვალით შეგახედებო და, მართლაც, სიტყვის კაცი აღმოჩნდა. დიახ, პროფესიონალთა გუნდთან ერთად საყოველთაო დაზღვევის პროგრამით ჩემმა მხსნელმა ვაჟკაცმა ორივე თვალზე წარმატებით ჩამიტარა მხედველობის კორექციის ოპერაცია და, რომ იტყვიან, მეორედ დავიბადე.

მრავალრიცხოვან პაციენტთა სახელით თავს უფლებას ვაძლევ მადლიერება გამოვხატო ბატონი გრიგოლის, მის ასისტენტ მაკო კლარჯეიშვილისა და მათ კოლეგათა – ექიმ-ოფთალმოლოგ ნათია კუტალაძის, მანჩო შამანაურისა და ლია მეშველაშვილის მიმართ.

**კიდევ ერთხელ –**
**უღრმესი მადლობა, ძვირფასებო!**

პატივისცემით – 91 წლის

**სოსო ნაჭყოფია**

# ახალი გვარ-სახელი 75 ლარად!

**საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში, უფლება აქვს შეიცვალოს როგორც სახელი, ისე გვარი.**

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, სახელისა თუ გვარის შეცვლის შემდეგ, პირს მონაცემი ეცვლება, ხოლო დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან მისთვის მინიჭებული პირადი ნომერი, უცვლელი რჩება.**

აღსანიშნავია, რომ სრულწლოვან პირს უფლება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ შეიცვალოს სახელი, ასევე გვარი მხოლოდ ერთხელ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს:

- **მშობელთა შეერთებული გვარი;**
- **პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის (მეოთხე თაობის ნათესავების (ბებიის, პაპის ბებიისა და პაპის) ჩათვლით) გვარი;**
- **საკუთარი გვარისა და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარის გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი;**
- **ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;**
- **მშვილებლის გვარი;**
- **ქორწინებამდელი გვარი, თუ ქორწინების შეწყვეტისას მას არ დაუბრუნებია ეს გვარი;**
- **მამის გვარი, მამობის დადგენისას;**
- **ისტორიული გვარი,**
- **სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი.**
- **ასევე, დაინტერესებულ პირს შეუძლია: აღიდგინოს ისტორიული გვარი, მოახდინოს მისი გვარის კანონიერად აღიარება, დაიდგინოს გვარი.**

## რა ღირს სახელისა და გვარის შეცვლა საქართველოში




რაც შეეხება სახელს:

**სახელის შეცვლა შესაძლებელია დაინტერესებული პირის სურვილისამებრ. თუმცა, სახელის შეცვლა დაუშვებელია, თუ განმცხადებელი სახელად ირჩევს ციფრებს, სასვენ ნიშნებს, გეომეტრიულ ფიგურებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, სიმბოლოებს, უცენზურო ან შეურაცხმყოფელ სიტყვებს ან მრავალწევრიან (ორზე მეტი სახელისაგან შემდგარ) სახელს.**

**ასევე დაუშვებელია თუ: ეს პირი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და იძებნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ასევე, განხორციელდა დაინტერესებული პირის დეპორტაცია ან რეადმისია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან 5 წელი არ გასულა; დაინტერესებული პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ, ამ გარემოების აღმოფხვრამდე?!**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, გვარის შეცვლის-გვარის დადგენის-გვარის კანონიერად აღიარების შესახებ განცხადების განხილვის დროს საჭიროა ზეპირი მოსმენის ჩატარება. ამასთან, განცხადება განუხილველი დარჩება, თუ, შეტყობინების მიღების მიუხედავად, დაინტერესებული პირი არ გამოცხადდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის.

რაც შეეხება მოწმობის გაცემის ვადას და ღირებულებას, განსაზღვრულია 60 კალენდარული დღე, ფასი კი 75 ლარია.

როგორც სახელის, ისე გვარის შეცვლის რეგისტრაციის მოთხოვნით პირს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალს ან იუსტიციის სახლს.

# ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის




## პოლიტიკური ქორწინება მოსალოდნელია ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის გასაბერ ეკლესიაში

**პოლიტიკური ლექსიკონის განმარტებით, ოპოზიცია არის საკუთარი შეხედულების დაპირისპირება სხვის შეხედულებასთან, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია არ მონაწილეობს მთავრობის დაკომპლექტებაში და, საჭიროების შემთხვევაში, მისი პოლიტიკის წინააღმდეგაც გამოდის.**

**ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, 27 თებერვალია, გაზაფხული კარზეა მომდგარი, მაგრამ უსიამოვნო განცდები მიპყრობს, დესტრუქციის მოწყობაში დახელოვნებული ოპოზიციის დემაგოგიური რიტორიკისა და პროპაგანდისტული ისტერიკის გამო. გარე საფრთხეებიდან რომ არავინაა დაზღვეული, ამის საილუსტრაციოდ აზერბაიჯანის მაგალითი გამოდგება, რომლის სპეცსამსახურებმა დროულად გამოააშკარავეს უცხო ქვეყნის აგენტურული ქსელი, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ძნელად თუ იპოვით მეორე სახელმწიფოს, რომლის ოპოზიცია ისე ღიად მტრობდეს საკუთარ ქვეყანას, როგორც ეს საქართველოში ხდება.**

**ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე ისეთი გამალებული გადაჯგუფება ხდება და ისეა ყველაფერი არეულ-დარეული, ძაღლი პატრონს რომ ვერ იცნობს, მაგრამ ეს დასაწყისია მხოლოდ. გაოცებას იწვევს საქვეყნოდ ცნობილი ოდიოზური პერსონების ფასადური მეტამორფოზა, თაფლის სანთლივით რომ იდვენთებიან ტელეკამერების წინ და ყინწვისის ანგელოზივით ნაგავენ თვალებს.**

დიდი გონებრივი გამჭრიახობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის მიხვედრას, რომ ასეთი იაფფასიანი ტრიუკები, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ ახალგაზრდებზეა გათვლილი, თორემ ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანების უმრავლესობა მშვენივრად ხვდება, თუ რა პოლიტიკურ მზაკვრობასთან გვაქვს საქმე. გველმა შეიძლება პერანგი რამდენჯერმე გამოიცვალოს, მაგრამ, ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, „გველივე შთება გველად“.

თუ კოლექტიური ამნეზია არ დაგვემართა და გონება არ დაგვიბინდა არსთა გამრიგემ, შეუძლებელი იქნება პირსისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგის ნიკა გვარამიას საგმირო საქმეთა დავიწყება, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პირობებში, ისე ტელეიმედის სივრცეში მოღვაწეობის პერიოდში. ქალბატონ მთვარისა ნავერიანზე ფიზიკურ ძალადობასა და ქართველ მევენახეთა მისამართით გამოთქმულ სიბილწეზე რომ არაფერი ვთქვათ, წითელი სითხით სავსე ჭიქის ფონზე გაკეთებულ მის მუქარას რა დაგვავიწყებს – ეს კომპოტია, მაგრამ მალე თქვენ სისხლს დავლევო!

**მსუყედ დაფინანსებული უცხოელი პიარმენეჯერების მკაცრი მოთხოვნის შესაგამისად, ორთოდოქსმა ნაციონალებმა ტონი კი შეარბილეს, მაგრამ, სამაგიეროდ, გააქტიურდნენ მათი სატელიტი პარტიების მოლაპარაკე თავები – ლილუაშვილ-გოკუჩავები და სამადაშვილ-ნაცვლიშვილები, რომლებმაც ვაშაძე-გოკუჩავასაც კი გადაუსწრეს დემაგოგიურ რიტორიკაში. აღარაფერს ვამბობ მამუკა ხაზარაძეზე, ორივე ხელით ნაცარს რომ აყრის თვალებში ამომრჩეველს 1000-ლარიანი პენსიის დაპირებით, ხოლო „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს და აწ უკვე საპატიო თავმჯდომარეს რუსეთში გასახლებით ემუქრება, არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვების შემთხვევაში.**

როგორადაც არ უნდა უარყონ ამ უპრინციპო ადამიანებმა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არაფერი გვაკავშირებს და დამოუკიდებელი აქტორები ვართო, არავინ დაუჯერებს, რადგან ფაქტები სრულიად საპირისპიროს მეტყველებენ. მარტო ის რად ღირს, გახარიას პარტიას კოალიცია რომ აქვს გაფორმებული ნაციონალებთან რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოებში და სიამტკბილობით თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

რა მესამე ძალა და რომელი შუაშისტები, როცა ისე არიან ერთმანეთში ათქვეფილი, თვითონაც ვერ გაურჩევიათ, ვინ საიდან მოვიდა, ვინ ვის გაურიგდა და ვინ ვის გაუყო სარეცელი, პოლიტიკური დივიდენდების მიღების სანაცვლოდ. შუაშისტობაზე მეოცნებე ამ პოლიტიკანებს, როგორც ვატყობ, მხედველობიდან გამორჩათ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება – ბიძინა ივანიშვილის მიერ შუა დიდი ხანია, რაც გაკრეფილია და, თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, ამ სიცარიელეს სტაბილური ელექტორატის გარეშე დარჩენილი ორ-სამ კაციანი „პარტიუკები“ ვერ ამოავსებენ!

* * *

**შესაძლოა, ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ოპოზიციონერობა ერთობ ხელსაყრელი საქმე გახდა საქართველოში – არავითარი პასუხისმგებლობა არ გაკისრია, ილაპარაკე რაც გინდა, იტივტივე ზედაპირზე, ისარგებლე პრივილეგიებით და იმოგზაურე უცხოეთში, სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მოირგო ოპოზიციონერის მანტია რის ვაი-ვაგლახით გაპრეზიდენტებულმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც არა მარტო ორგანულად ჩაეწერა ოპოზიციის რიგებში, არამედ კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას ნამდვილ მხსნელად მოევლინა, გულის ამაჩუყებელი დედობრივი მზრუნველობით.**

კერძოდ, ქალბატონმა პრეზიდენტმა შალვა ნათელაშვილის ფანჩატურის ალტერნატივად ორბელიანების თბილი სასახლე შესთავაზა თანამზრახველებს, რაც, ჩემი მოკრძალებული ვარაუდით, იდეური მოკავშირეების ჰიპოთერმიის თავიდან აცილების მიზნით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ყუთლუ-არსლანის კარვის დაფუძნების მომსწრე გახდა, რაც ნამდვილი „ნოუ ჰაუ“ 21-ე საუკუნის საქართველოში.

აბა, როგორ, ვინმეს ხომ უნდა გაეზიარებინა თამარ მეფის ოპოზიციონერი მეჭურჭლეთუხუცესის მდიდარი გამოცდილება და აკი გაიზიარა კიდეც ფრანგული მენტალიტეტის მქონე, ნოვატორული იდეების გენერატორმა ქალბატონმა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მდიდარი სექსისა და მდიდარი ფანტაზიების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან ჩვენი ბედკრული სამშობლოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები!

**სხვათაშორის, ისეთი კმაყოფილი სახეებით გამოვიდნენ ორბელიანების სასახლიდან ახალი რევოლუციური კომიტეტის შესაძლო წევრები, ქალბატონი პრეზიდენტი უთუოდ შეაგულიანებდა, არ ინერვიულოთ, ჩვენი პოლიტიკური ქორწინება აუცილებლად შედგება და ჯვარსაც დავიწერთ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის გასაბერ ეკლესიაშიო!**

* * *

**„გლისპმა დიაცმა რა ფერხი დადგას ადგილსა რომელსა,**
**ხამს კაცი მუნით გარბოდეს, შორს გზასა გაუზომელსა“.**

მართალია, სავალდებულო არაა, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის ამ სიბრძნეს, სასურველია, იცნობდეს ლიტერატურული პრემია „საბას“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე. მიუხედავად ამისა, იგი ბადრი ჯაფარიძესთან ერთად, სხვაზე ადრე, სისხამ დილით ეწვია ორბელიანების სასახლეს და მორჩილად ითხოვა აუდიენცია მადამ პრეზიდენტთან.

ბრაზიანი ადამიანი ყოველთვის შხამით არის გაჟღენთილიო, სამართლიანად შენიშნავს კონფუცი. სალომე ზურაბიშვილი ისეა გაბრაზებული მთავრობის წინა და ახლანდელ მეთაურებზე, მათ ჯიბრზე ქვეყანას უდგას ოპოზიციაში და რეპუტაციულად აზიანებს უცხოური ტურნეების ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას. თუ არა სამარცხვინო, აბა, რა შეიძლება ეწოდოს მიუნხენის კონფერენციაზე უნებართვოდ ჩასული ზურაბიშვილის შეხვედრას უკრაინისა და ევროკომისიის პრეზიდენტებთან და სრული კაპიტულაცია პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რადოსლავ სიკორსკის წინაშე, რომელმაც კატეგორიული ტონით მოსთხოვა „საქართველოს მოდერნიზაციის სიმბოლოს“, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივ განთავისუფლება!

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილმა ლიტერატურული ქართული მეტყველება ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, დარწმუნებული ვარ, ყურმოკვრით მაინც ექნება გაგონილი შემეცნებითი ხასიათის გამოთქმა: „ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის!“ თუმცა, იგი კვლავინდებურად დაუკრეფავში გადადის და ღიად უპირისპირდება აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ნებისმიერ კვალიფიციურ ფსიქოლოგს შეუძლია გამოიცნოს ადამიანის ქცევა მეორე დღისთვის, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა იგი წინა დღეს. მართალია, ფსიქოლოგიის სიღრმისეული ცოდნით თავს ვერ მოვიწონებ, მაგრამ გარდასულ დღეთა ანალიზის საფუძველზე შემიძლია, ვივარაუდო, თუ რას მოიმოქმედებს მეამბოხე პრეზიდენტი წინასაარჩევნო პერიოდში. დიდი ალბათობით, იგი არ შეიწყალებს სააკაშვილს, მაგრამ, ამის საკომპენსაციოდ, დაუბრუნებს საქართველოს მოქალაქეობას, რათა მიანიჭოს ლეგიტიმაცია, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რასაც, ცხადია, მიესალმება კოლექტიური ნაცმოძრაობა და გეოგრაფიული დასავლეთი.

* * *

**ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის უსუსური არგუმენტის მიუხედავად, სააკაშვილმა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო ესოდენ სარისკო გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყო საქართველოშიო, ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ექსპრეზიდენტის მიზანი შურისძიება და რევანში იყო.**

**შესაძლოა, იურისტმა ხაჭაპურიძემ არ იცოდეს, მაგრამ ისტორიკოს სანიკიძეს უთუოდ ეცოდინება იმ უპრეცედენტო შურისძიების შესახებ, რომელსაც რევანშიზმის დაუოკებელმა სურვილმა დაუდო სათავე. მე-17 საუკუნეში ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორი იყო ოლივერ კრომველი, რომელმაც თანამდებობა მას შემდეგ მიიღო, როცა 1642-1651 წლების სამოქალაქო ომში მეფესა და პარლამენტს შორის დაპირისპირების შედეგად ჩარლზ მეორე ქვეყნიდან გააძევა. 1660 წელს, ოლივერ კრომველის გარდაცვალების შემდეგ, ჩარლზ მეორე სამშობლოში რომ დაბრუნდა, კრომველი საფლავიდან ამოთხარა და გვამი ჩამოახრჩო!**

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბნელი მე-17 საუკუნე არაა და კაცობრიობა გაცილებით ცივილიზებული გახდა, სადისტური მიდრეკილების მქონე შურისმაძიებლების ნაკლებობა ნამდვილად არ შეინიშნება თანამედროვე სამყაროში და საკუთრივ საქართველოში.

* * *

**უაღრესად დასაფასებელია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა, უახლოესი ასი დღის განმავლობაში მოიაროს ათი რეგიონი, თანმხლებ პირებთან ერთად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში. გულწრფელად მივესალმები, თუკი ბატონი ღარიბაშვილი არა მარტო დახურულ სივრცეში შეხვდება პარტიულ აქტივს, არამედ გაესაუბრება მოსახლეობას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უაღრესად აქტუალურია რეგიონებში, განსაკუთრებით კი სოფლად. ასეთი კომუნიკაცია განსაკუთრებით აქტუალურია მიმდინარე ეტაპზე, როცა ხვნა-თესვის სეზონი კარზეა მომდგარი და თადარიგი დროულადაა დასაჭერი.**

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებით ვცხოვრობ, მიწას ვარ შეჭიდებული და სხვისგან არ მესწავლება, თუ როგორ სირთულეებს აწყდება ჩემს მდგომარეობაში მყოფი მშრომელი კაცი. 2013-2016 წლების გამოკლებით, როცა ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით დამუშავდა სავარგულები, ვერ ვიხსენებ შემთხვევას, აგროტექნიკურ ვადებში შესრულებულიყოს საგაზაფხულო სამუშაოები, სახნავ-სათესი აგრეგატების (ტრაქტორების) მწვავე დეფიციტის გამო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩემი სოფლის შემოგარენში სახიფათოოდ მომრავლებული მტაცებელი ცხოველები არა მარტო საძოვარზე, არამედ საკარმიდამო ეზოებშიც კი ესხმიან თავს შინაურ პირუტყვს, განმკითხავი კი არავინაა. გარდა იმისა, რომ მსგავსი საჭირბოროტო საკითხების მოგვარება ხელისუფლების პრეროგატივაა, გასათვალისწინებელია მუდმივად ჩასაფრებაში მყოფი ოპოზიციის ინტერესი, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ნადირობს განაწყენებულ ამომრჩეველზე, რათა მიიმხროს იგი, 1000-ლარიანი პენსიისა და სხვა ფანტასმაგორიული დაპირებებით, რომელსაც არავინ შეასრულებს, თუმცა მოკლევადიანი ეფექტი ნამდვილად ექნება.

ვიფიქროთ ამაზე, ბატონო ხელისუფალნო და ნუ მივცემთ დესტრუქციაზე ორიენტირებულ ოპოზიციას სიტუაციის არევის შესაძლებლობას.



**თეიმურაზ ჯანელიძე.**
**წყალტუბო, ჩუნეში**

**P.S.** **არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, გვასწავლის ქართული ანდაზა, რაც მოქმედ პრეზიდენტზეა ზედგამოჭრილი.** საისტორიო ბედისწერითა და ბიძინა ივანიშვილის უპირობო მხარდაჭერით აღზევებულმა, სალომეას ეპიგონმა სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ გაუგორა კოჭი უცხოელ პატრონებს და ამჯერად ქართული სამოციქულო ეკლესიის მხცოვანი საჭეთმპყრობელი ამოიღო მიზანში. საქმეს ისეთი პირი უჩანს და ქალბატონი სალომე ისეა განდიდების მანიით შეპრყობილი, გამორიცხული არაა, ცნობილი ტელეწამყვანის იოანე შაიშმელაშვილის თავი მოითხოვოს ავადსახსენებელი სალომეას მიბაძვით, რათა სამუდამოდ დაიმკვიდროს თავი ეკლესიის მიერ შეჩვენებულთა შორის.

**თ.ჯ.**



# დიდი კობზარის „კავკასია“ ქართულად

## ტარას შევჩენკოს დაბადების 210 წლისთავი




**სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. ამიტომაც, განსაკუთრებით დასაფასებელია დღეს, როდესაც უკრაინაში გაუთავებელი ომი მძვინვარებს, ერის საფიცარი უდიდესი პოეტის ტარას შევჩენკოს ორენოვანი, უკრაინულ-ქართული კრებულის გამოცემა, რომლის მთარგმნელი, რედაქტორი, წინასიტყვაობისა და განმარტებების ავტორი გახლავთ რაულ ჩილაჩავა. კრებულის სათაურია „ფიქრნო ჩემნო“. ამ კრებულს შეიძლება ალბომიც ვუწოდოთ, რადგან ლექსებთან ერთად მას ტარას შევჩენკოს – პოეტისა და მხატვრის არაჩვეულებრივი ილუსტრაციები ამშვენებს. ეს შესანიშნავი წიგნი პარლამენტის ბიბლიოთეკისა და უშუალოდ მისი დირექტორის გიორგი კეკელიძის ძალისხმევით გამოვიდა 2023 წლის შემოდგომაზე. აღსანიშნავია, რომ წიგნის წარდგინებაც მაღალ დონეზე ჩატარდა პარლამენტის ბიბლიოთეკაში 2023 წლის პირველ დეკემბერს.**

რაულ ჩილაჩავამ თითქმის მთელი უკრაინული პოეზია ააჟღერა ქართულ ენაზე და ქართულ-უკრაინული მეგობრობა, რომელიც საუკუნეებია გრძელდება, კიდევ უფრო განამტკიცა. იგი ყოველ პოეტს, რომლის თარგმნასაც აპირებს, მეცნიერულად იკვლევს, მის ხელწერას საფუძვლიანად სწავლობს და მხოლოდ ამის შემდეგ თარგმნის. მისი თარგმანები იმდენად სანდოა, რომ დედანთან ტაეპების, სტროფებისა თუ ცალკეული სიტყვების დეტალურ შედარებასაც არ საჭიროებს.

მთარგმნელმა ყველა უკრაინელი პოეტის ჭირვარამი გაიზიარა, გულთან ახლოს მიიტანა, მაგრამ ტარას შევჩენკოს, ამ ნატანჯი პოეტის შემოქმედება მაინც სწორუპოვარია და შესაბამისად, განსაკუთრებით ხშირად თარგმნის მას რაულ ჩილაჩავა. ყოველ მის გამოცემაში ტარას შევჩენკო კიდევ უფრო საინტერესო და ახლობელი ხდება ქართველი მკითხველისათვის. წელს, 2024 წლის 9 მარტს, ამ გენიალური უკრაინელი პოეტისა და მხატვრის საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 210 წელი აღინიშნა. ასე რომ, ქართველმა საზოგადოებამ დროულად მიიღო ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნი.

**ყველაფერი წინასიტყვაობით იწყება და წინამდებარე წიგნის წინასიტყვაობაში მთარგმნელი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს ტარას შევჩენკოს ფათერაკებით სავსე ბიოგრაფიას; მისი შემოქმედების აღმასვლასა და სიცოცხლის წყურვილზე, რამაც ყველა დაბრკოლება გადაალახვინა. შეუძლებლად მიმაჩნია ჩემს მიმოხილვაში ამის მოკლედ გადმოცემა და ამიტომ, ისევ ბატონი რაულის მოკლე კომენტარს მოვიხმობ მისივე თარგმანების წიგნიდან „აგვისტო (55 უკრაინელი პოეტი)“: „დიდი უკრაინელი პოეტი მხატვარი, მოაზროვნე, გრავიურის აკადემიკოსი დაიბადა 1814 წ. 9 მარტს ახლანდელი ჩერკასის ოლქის სოფელ მირინცაში ყმა გლეხის ოჯახში. 1831 წ. მებატონე ენგელგარდტმა იგი პეტერბურგში წაიყვანა. შვიდი წლის შემდეგ ყმობიდან გამოსყიდული ხელოვნების აკადემიაში ჩაირიცხა. კირილესა და მეთოდეს სახელობის ანტიმეფური საზოგადოების წევრობისათვის 1847-1857 წლებში გადასახლებული იყო. ავტორია უკვდავი კრებულისა „კობზარი“. გარდაიცვალა 1861 წ. 10 მარტს, სანკტ-პეტერბურგში. იმავე წლის მაისში გადმოასვენეს და დაკრძალეს კანევში“.**

მკვლევარი და მთარგმნელი რაულ ჩილაჩავა წიგნში „ფიქრნო ჩემნო“ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობს. მაგალითად, ტარას შევჩენკოს ლექსების რითმზე იგი წერს: „მასთან გარითმვის რაიმე მყარი სქემა არ არსებობს, იგი ნებისმიერია და ხშირად იმდენად ერთმანეთს მიყოლებული, რომ მთელი ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება: მომიჯნავე რითმა ჯვარედინში გადადის, ჯვარედინი – შინაგანში, რიტმი აჩქარებულია და ნიადაგ ცვალებადი. ვფიქრობ, შევჩენკოს ლექსის რიტმი იმიტომაცაა ცვალებადი, რომ მას არ ჰქონდა საშუალება, თავდავიწყებით მისცემოდა შემოქმედებას. როგორც არაერთგზის აღნიშნავს თვითონ, ცალი თვალი ზედამხედველისკენ უნდა სჭეროდა და მალულად, ქურდულად ეწერა. ხშირად ამიტომ ხომ არ წყდება შუაზე სტრიქონი და მუშაობის განახლების შემდეგ იბადება ახალი რიტმი, ახალი განწყობილება!“

მთარგმნელს არ ავიწყდება იმის აღნიშვნაც, რომ შევჩენკომდე ტერმინი „უკრაინა“ რუსეთის იმპერიაში მიღებული არ ყოფილა. „ტერიტორიას, რომელიც ამჟამად ამ სახელწოდებითაა ცნობილი, მაშინდელი ოფიციოზიცა და ლიტერატურაც უმთავრესად მალოროსიად მოიხსენიებდა. თვით შევჩენკოსაც მალოროსიელ პოეტსა და მხატვარს ეძახდნენ, რომლის ენაც ველიკორუსულის სამხრეთულ განშტოებად თუ დიალექტად მიაჩნდათ“.

ტარას შევჩენკო რომ უკრაინელი ხალხისათვის უსაყვარლესი პოეტია, ცხადია, მაგრამ მთარგმნელი ამას განსაკუთრებული გრძნობით აღნიშნავს. იგი წერს: „უკრაინელის წარმოდგენით ტარას შევჩენკო არის აბსოლუტი, უზეშთაესი სუბსტანტი, რომელმაც საკუთარი შემოქმედებიდან, როგორც სავაოთმა თიხიდან ადამი, გამოძერწა თვითონ იგი, შთაბერა საკუთარი სული და შთააგონა: შენ ხარ უკრაინელი, მშობლიური მიწა-წყლის ბატონპატრონი, ექმენ მას ფარად და მცველად, იმედად და ნუგეშად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!“

ტარას შევჩენკოს, როგორც პოეტს, აღიარება მისმა პირველმა კრებულმა, „კობზარმა“ მოუტანა და წინამდებარე წიგნის შესავალში პროფესორი რაულ ჩილაჩავა მასზე საგანგებოდ მსჯელობს. იგი წერს: „კობზარი“ ყველა დროის უდიდესი, უკვდავი, სისხლითა და ცრემლით გაჯერებული უკრაინული წიგნია, რომელშიც სევდაც და სიხარულიც, სასოწარკვეთაც და მომავლის ურყევი რწმენაც უღრმესად და უვნებიანესადაა გამოხატული... ტარას შევჩენკომ მოახერხა თავისი დიადი კრებული სამშობლოს სადარაჯოზე, მისი ხელშეუხებლობის საგუშაგოზე დაეყენებინა, რამაც მეფის ხელისუფლება სერიოზულად დააფრთხო“.

მთარგმნელი პარალელს ავლებს „კობზარსა“ და ქართული ლიტერატურის ისეთ ნიმუშთა შორის, როგორიცაა: „კობზარი“ და დავით გურამიშვილის „დავითიანი“: „როგორც მათი ავტორები ჰგვანან ერთმანეთს, ასევე მათი წიგნებიც. ერის ისტორიაში ჩაწნული ავტობიოგრაფია, ერის უბედობის ფონზე დახატული საკუთარი უბედობა, – აი, ის მაგისტრალური ხაზები, რომლებიც აერთებს და ანათესავებს ამ ორ დიდ შემოქმედს“.

მეცნიერი საინტერესო პარალელებს ავლებს, აგრეთვე, ტარას შევჩენკოს, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის მსგავს ლექსებს შორის. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "შევჩენკოს პოეზია განსაკუთრებით ეხმიანება „ბედი ქართლისაში“ წამოჭრილ პრობლემებს, ოღონდ „კობზარი“ უფრო აქიაქებს ბოგდან ხმელნიცკის, ვიდრე ბარათაშვილი ერეკლე მეორეს“.

**რაულ ჩილაჩავა როგორც მთარგმნელი და მკვლევარი განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა ტარას შევჩენკოს "კავკასიის" მისეულ თარგმანსა და თვით ამ ნაწარმოების განხილვაში.**

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს: „რუსეთ-კავკასიის ომმა სხვა მრავალთა შორის ორი გენიალური ნაწარმოები შვა – ბარათაშვილის „მერანი“ და შევჩენკოს „კავკასია“. მართალია, მათი დაწერის მიზეზები კარდინალურად განსხვავებული იყო: ქართველ პოეტს კალამი ხელში ააღებინა მთიელთა მიერ ღვიძლი ბიძის ილია ორბელიანის მოტაცებამ (რომლის გათავისუფლებაც მერე მოხერხდა), შევჩენკოს კი ასევე მათ მიერ მხატვრის, 1844 წლის ხელნაწერი „კობზარის“ ილუსტრატორის, რუსეთის არმიის ოფიცრის იაკობ დე ბალმენის მკვლელობამ“

„საინფორმაციო საბაბმა, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე, ორი სხვადასხვა ეროვნების პოეტში განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. ბარათაშვილს მან გაუმძაფრა ისტორიული ხსოვნა, თვალწინ გაუცოცხლა ლეკიანობის სურათები, შევჩენკოს კი ერთხელ კიდევ შეახსენა, თუ ვის უღელქვეშ გმინავდა მისი სამშობლო. „კავკასიაში“ შევჩენკო ამხელს ცარიზმს არა მარტო როგორც უკრაინის ჯალათს, არამედ სხვა მრავალ ერთა სულთამხდელსაც და სწორედ ესაა მისი შემართების ქვაკუთხედი“.

„საბჭოთა „ხალხთა მეგობრობის“ ეპოქაში, როცა არ იყო მიღებული (უფრო სწორად – ნებადართული) „უხერხულ“ წარსულზე საუბარი, „კავკასიამ“ თითქოს დაკარგა პოლიტიკური სიმწვავე და მას განიხილავდნენ მხოლოდ როგორც მაღალმხატვრულ პოეტურ ნაწარმოებს. რუსულ-კავკასიური კონფლიქტის ახალმა აფეთქებამ, ჩეჩნეთში ფართომასშტაბური სამხედრო ოპერაციის გაშლამ, 2008 წლის აგვისტოში კი საქართველოზე რუსეთის ვერაგულმა თავდასხმამ და მთელ სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ კვლავ გააღვივა ინტერესი შევჩენკოს პოემის მიმართ, რომელშიც დრო თითქოს გაყინულა და მარადიულ აწმყოდ ქცეულა.

ნაწარმოების ლიტერატურული, სოციალური თუ ისტორიული კონტექსტი თითქმის არ შეცვლილა, შეიცვალნენ მხოლოდ მოქმედი პირები და შემსრულებლები“.

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევართათვის, ისევე როგორც ქართველი მთარგმნელებისათვის, ტარას შევჩენკოს „კავკასია“ განსაკუთრებით საინტერესოა. თვით სათაურიც კი კვლევისა და თარგმნისათვის განაწყობს მათ. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი არასდროს ყოფილა კავკასიაში, ნაწარმოები კავკასიელი ხალხისადმი თანაგრძნობითა და მათი მებრძოლი სულისკვეთებით არის გამსჭვალული. „კავკასია“ დაწერილია 1845 წლის 18 ნოემბერს პერეიასლავში. იგი შევჩენკოს ნაცნობ უკრაინელ მხატვარს, ოფიცერ იაკობ დე ბალმენს ეძღვნება, რომელიც შამილთან ომში დაიღუპა. პროფ. რაულ ჩილაჩავა თავის უკრაინულ ენაზე დაწერილ ესეში „სიტყვა „კავკასიის“ შესახებ“, ასახელებს პუშკინისა და ლერმონტოვის საქართველოს თემაზე დაწერილ რამდენიმე ნაწარმოებს და დასძენს, რომ შესაძლოა, ტარას შევჩენკოს ისინი წაკითხული ჰქონდა, მაგრამ მკვლევარი, ამასთანავე, რადიკალურად განასხვავებს ტარას შევჩენკოს ხედვას პუშკინისა და ლერმონტოვის ხედვისაგან. რუსი პოეტების ნაწარმოებებში იგი დიდმპყრობელური თვალთახედვით დანახულ კავკასიას ხედავს:

„Смирись, черкес“! – მოუწოდებს ლერმონტოვი. პუშკინი კიდევ უფრო მკაცრად ამბობს: „Смирись Кавказ! Идет Ермолов“! ამ მოწოდებებს მეცნიერი ტარას შევჩენკოს კავკასიელებისადმი საბრძოლო მოწოდებას უპირისპირებს:

**„იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ, (ღმერთიმც დაგეხმაროთ!) თქვენთანაა სამართალი, შვებაც სანეტარო! “**

**პროფ. რ. ჩილაჩავა აღნიშნავს, რომ ტარას შევჩენკო პირდაპირ, გულახდილად წარმოაჩენს თვითმპყრობელური შოვინიზმის მთელ ანატომიას, აჩვენებს ოფიციალური ხელისუფლების აშკარა ცინიზმსა და ზიზღს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ტარას შევჩენკოს ინტერესი კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ გამოჩნდა პეტერბურგში 1859 წ. კოსტომაროვის ბინაზე უკრაინელი მწერლისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტის აკაკი წერეთლის შეხვედრისას. აკაკი წერეთლის რუსულ ენაზე დაწერილ მოგონებაში („Мои воспоминания о Шевченко“) კარგად გამოიკვეთა ტარას შევჩენკოს გულწრფელი დაინტერესება საქართველოს წარსულითა და აწმყოთი. ამ შეხვედრის დროს მას უკვე დაწერილი ჰქონდა „კავკასია“ და ფსიქოლოგიურად მომზადებული, განწყობილი იყო მისთვის საინტერესო ამბის მოსასმენად.**

მართალია, ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი სულ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამ შეხვედრას ორივე პოეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. შევჩენკოსათვის აკაკი იყო მისთვის საოცნებო კავკასიის შვილი, აკაკისათვის კი ტარას შევჩენკო იყო უკრაინის უდიდესი პოეტი, რომლის ნახვაზეც ის ოცნებობდა. ტარას შევჩენკოს გარდაცვალების შემდეგაც, აკაკი წერეთელს არაერთხელ მოუწია მის სულიერ სამყაროსთან შეხვედრა. ამ სულიერი ნათესაობის მნიშვნელობის გააზრების მიზნით პროფ. რაულ ჩილაჩავას სიტყვები მოვიშველიოთ: „დამეთანხმებით, აკაკი წერეთელი არ იყო ის კაცი, ვინც ჰაიჰარად მოიყრიდა მუხლს ვინმეს წინაშე, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სწორედ აკაკიმ, საქართველოს დიდმა მგოსანმა, დაიჩოქა შევჩენკოს ბიუსტის წინაშე 1914 წელს, როცა მთელს რუსეთის იმპერიაში სასტიკად აკრძალეს „კობზარის“ დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა (არსებობს ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან ჟანდარმები პოეტის საფლავზე სწორედ მისი დაბადების დღეს). რატომღაც მგონია, რომ აკაკიმ ეს უდიდესი პატივი ბევრ სხვა რამესთან ერთად „კავკასიისთვისაც“ მიაგო უკრაინელ პოეტს, რომელთან ერთადერთ შეხვედრასაც იგი ყოველთვის მღელვარებით იხსენებდა“.

თავის ესეში „სიტყვა „კავკასიის“ შესახებ“, პროფ. რაულ ჩილაჩავა ამბობს, რომ სლავი შევჩენკო კი არ იწონებს, არამედ აკრიტიკებს „სლავურ იარაღს, სლავთა მეფის მომხვეჭ მადას. მისი პოემა – თითქოს პოეტური შხამსაწინააღმდეგოა „მოსკოვური შხამისაგან“ დასაცავად. სწორედ ამ შხამით სავსე სასმისმა დაღუპა იაკობ დე ბალმენი.

კავკასიას ტარას შევჩენკო უყურებს თავისი მეგობრის, თანამოაზრის თვალით, რომელიც „განმანათლებელთა“ ბრძანებით ამაყი ხალხის დაპყრობაში მონაწილეობდა როგორც მეომარი და თავისი სამარეც იქ იპოვა.

პოემის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ტარას შევჩენკო თვითონაც იყო იმ ჯარისკაცთა შორის, ვინც მეფის ბრძანებით კავკასიის დაპყრობაში მონაწილეობდა. უკრაინელი პოეტი თითქოს თავის თავზე იღებს სხვების ცოდვებს და სხვებთან ერთად საკუთარ პიროვნებასაც განიკითხავს. იგი ამხელს ქრისტიანობის საფარქვეშ ამოფარებულ აგრესორებს, რომლებიც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მიწა-წყალზე გაბატონებას, მათი სახლ-კარის დაუფლებას ლამობდნენ და უნდოდათ, რომ ეს ხალხი კიდევ მათი მადლიერი ყოფილიყო.

ტარას შევჩენკოს „კავკასიის“ რაულ ჩილაჩავასეული ქართული თარგმანის განხილვა ცხადჰყოფს, რომ პოეტი, მთარგმნელი და მეცნიერი სიღრმისეულად გაიაზრებს უკრაინელი პოეტის ლექსიკის ყველა ნიუანსს და ქართული ენის წიაღიდან ფაქიზად ამოზიდულ შესატყვისებს უძებნის. ეს არის შემოქმედებითი თარგმანი, რომელშიც ზოგჯერ არადედნისეული, მთარგმნელის მიერ ჩანაცვლებული, წმინდა ქართული სიტყვები და გამოთქმებიც დედნის მხატვრულ სიმართლესა და ემოციას გადმოსცემს.

მთარგმნელი კარგად ჩაწვდა პოემას და მისი მნიშვნელობა გლობალურად გაიაზრა, რაც მართებულად ჩამოაყალიბა თავის ესეში „სიტყვა „კავკასიის“ შესახებ“.

**პროფ. რაულ ჩილაჩავას უკრაინულ ენაზე დაწერილი ზემოხსენებული ესე შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ტარას შევჩენკოს უკვდავი პოემა „კავკასია“ ისევ ხაზს უსვამს პლანეტისათვის მნიშვნელოვან და უაღრესად აქტუალურ ძირითად პოსტულატებს, რომ ხალხთა და სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას ალტერნატივა არ გააჩნია. პოემა შეგვახსენებს, რომ აუცილებელია მუდმივი დიალოგი კულტურათა შორის. მხოლოდ ეს გზა დაამარცხებს ბოროტებას და გაამარჯვებინებს სიმართლეს“.**

**ძნელია, არ დავეთანხმოთ ამ ჭეშმარიტებას.**

**რუსუდან ჭანტურიშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**კორუმპირებული მსოფლიო, კიდევ უფრო კორუმპირებული საქართველო!**

# კიბოს კი სირცხვილით იწვის წამლის ბარიგათა შემხვედვარე!..




## წამლის სააგენტომ „ნოვარტისის“ და „ავერსის“ ბიზნეს ინტერესების გამო ონკოპაციენტებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა

**მხოლოდ იმიტომ, რომ „ნოვარტისს“, „ავერსსა“ და სხვა დიდ ფარმაცევტულ კომპანიებს არ მოსწონდათ იაფი ანალოგის არსებობა, წამლის სააგენტომ ონკოპაციენტებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**

**2023 წლის 5 დეკემბერს წამლის სააგენტომ შვეიცარული ფარმაცევტული გიგანტი-კომპანია „ნოვარტისის“ საქართველოს წარმომადგენლობის საჩივრის საფუძველზე, აფთიაქ „ედელვაისი ბ“-ში, შპს „ვილბი ფარმას“ მიერ ბანგლადეშიდან ონკოპაციენტებისთვის შემოტანილი მედიკამენტები დალუქა, რომლებიც იქ სათანადო პირობებში შენახვისა და პაციენტებზე გაცემის მიზნით იყო განთავსებული. აქციის მიზეზად პრეპარატების „საეჭვო“ წარმომავლობასა და რეგისტრაციის უქონლობას ასახელებდნენ. საუბრობდნენ ასევე კორუფციულ სქემაზეც, რომელშიც, თითქოს, 60-მდე ონკოლოგი (ქართველ ონკოლოგთა თითქმის სრული სპექტრი) იყო ჩართული.**

**დაურეგისტრირებელი წამლების შემოტანაში უკანონო არაფერია. მარტო 2023 წელს სხვადასხვა დასახელების 180 000 კოლოფი დაურეგისტრირებელი მედიკამენტია შემოტანილი ფორმა 100-ის საფუძველზე, მათ შორის, „ნოვარტისის“, „ავერსისა“ და სხვა კომპანიების მიერ. რაც შეეხება მედიკამენტების „საეჭვო წარმომავლობას“, საუბარია ბანგლადეშის ფარმაცევტულ კომპანიაზე, რომლის პროდუქციაც ევროპასა და აზიის განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის იაპონიასა და სინგაპურში) შედის. აღსანიშნავია, რომ „საეჭვო წარმომავლობის“ ეს პრეპარატები რეგისტრირებულია 17 ქვეყანაში, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის 4 ქვეყანაში (აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და ყაზახეთში).**

**რაც შეეხება საქართველოს, „ვილბი ფარმამ“ წამლის ეროვნულ სააგენტოს მიმართა წამლების რეგისტრაციისთვის, მაგრამ პროცესი გაჭიანაურდა და ბოლოს, წამლის სააგენტომ პრეპატარები დალუქა. საქმე ისაა, რომ „ნოვარტისს“, რომლის პარტნიორია კომპანია „ავერსი“, თავად შემოაქვს „ვილბი ფარმას“ მიერ შემოტანილი პრეპარატების ნაწილის ანალოგები საქართველოში და ბაზარზე მათი ფასი, რამდენჯერმე აღემატება „ვილბი ფარმას“ მიერ შემოტანილი მედიკამენტების ფასს.**

**ჯანმრთელობის ყოფილი მინისტრი მაშინ ირწმუნებოდა, რომ სამინისტროს და წამლის სააგენტოს მხრიდან „ვილბი ფარმას“ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები ონკოლოგიურ პაციენტებზე ზრუნვით იყო გამოწვეული, მაგრამ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პრეპარატების დაყადაღებიდან ძალიან მალე, „ავერსმა“ მართლაც საეჭვო წარმომავლობის, არარეგისტრირებული ანალოგები უფრო ძვირად შემოიტანა ქართულ ბაზარზე, წამლის სააგენტო კი ამაზე დუმს?**

**და კიდევ ერთი: წამლის სააგენტო 60-მდე ონკოლოგს, პრაქტიკულად, თაღლითობაში სდებს ბრალს, როცა სწორედ, ამ მედიკამენტებმა შეუნარჩუნა სიცოცხლე უამრავ ადამიანს და მას შემდეგ, რაც მათ პრეპარატების შეძენის შანსი მოუსპეს, რამდენიმე მათგანი დაიღუპა კიდეც.**

**ვისი ინტერესები დგას მთელი ამ ბაკქანალიის უკან, ჯანმრთელობის ყოფილმა მინისტრმა თუ ეს ვერ გაარკვია და მხოლოდ არაკომპეტენტურობის გამო დაიჭირა ასეთი პოზიცია, ეს ერთი უბედურებაა და თუ გაარკვია და არაფერი იღონა ამ უმსგავსობის აღსაკვეთად, მით უარესი, რადგან, ამ შემთხვევაში საქმეში პირდაპირ იკვეთება ყოფილი მინისტრის პირადი ინტერესები.**

რეალურად, რასთან გვაქვს საქმე და როგორ გაწირეს ონკოპაციენტები სასიკვდილოდ ჯანდაცვის სამინისტრომ და წამლის სააგენტომ For.ge-ს **„ვილბი ფარმას“** დირექტორი **თინათინ პაჭარავა** ესაუბრა.



**— ქალბატონო თინათინ, წამლის სააგენტო ბანგლადეშს საეჭვო ქვეყნად მოიხსენიებს და შესაბამისად, თქვენ მიერ შემოტანილ წამლებსაც „საეჭვო წარმომავლობის მედიკამენტებს“ უწოდებს. საქართველოში ბანგლადეშიდან არ შემოდიოდა ან არ შემოდის მედიკამენტები?**

— ონკოლოგიურ მედიკამენტებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არაონკოლოგიური მედიკამენტები, რა თქმა უნდა, ბანგლადეშიდან სხვებსაც შემოაქვთ.

Beacon Medicare Limited, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, არის ბანგლადეშის ერთ-ერთი უდიდესი კომპანია. საერთოდ, ბანგლადეში მედიკამენტების წარმოებაში წამყვანი ქვეყანაა. მას, როგორც მესამე რიგის ქვეყანას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აქვს უფლება, პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე აწარმოოს მედიკამენეტი, რომ მოამარაგოს დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნები და ასევე, გაიზარდოს ინოვაციურ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

ამ კომპანიის მხრიდან საქართველოს ბაზრით დაინტერესება, რა თქმა უნდა, არცთუ მარტივი იყო, მაგრამ ჩვენ ეს მაინც მოვახერხეთ. იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მედიკამენტების რეგისტრაცია, გაჩნდებოდა იმის საშუალება, რომ უამრავი სასიკეთო საქმე გაგვეკეთებინა, თუნდაც უფასო დოზების თვალსაზრისით. როცა ამბობენ, საეჭვო წარმომავლობის მედიკამენტიაო, რას ნიშნავს „საეჭვო წარმომავლობა“?! ყველანაირი დოკუმენტაცია წარდგენილი გვაქვს.

**— თქვენ მიერ შემოტანილი მედიკამენტები არ არის საქართველოში რეგისტრირებული. საერთოდ, როგორია არარეგისტრირებული მედიკამენტების შემოტანის პრაქტიკა?**

— საერთოდ, საქართველოში მედიკამენტების იმპორტის ორი შესაძლებლობა არსებობს. პირველი — მედიკამენტს არეგისტრირებ წამლისა და რეგულირების სააგენტოში, მეორე — ე. წ. ფორმა-100-ით, ინდივიდუალური საჭიროებისთვის. ანუ, დიაგნოზის შესაბამისად გაიცემა სპეციალური სამედიცინო დოკუმენტაცია და ის მედიკამენტი, რომელიც საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი ან ხელმისაწვდომია, მაგრამ არის ძალიან ძვირი, პაციენტის დაკვეთით შემოაქვს კონკრეტულ ფირმას. ჩვენ სწორედ ასე შემოგვაქვს.

**— ის მედიკამენტები, რომელიც თქვენ შემოგქონდათ ბანგლადეშში თუ არის რეგისტრირებული?**

— ბანგლადეშის გარდა კიდევ 16 ქვეყანაშია რეგისტრირებული. აღნიშნული კომპანია ინდივიდუალური საჭიროებისთვის ამ მედიკამენტების ექსპორტს კიდევ 31 ქვეყანაში ახორციელებს. ეს არის ჯენერიული ანალოგები, მათი ორიგინალები ძალიან ძვირია ისეთი განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, სან-მარინო, სინგაპური და ა. შ. არის საჭიროება, რომ პაციენტებმა შედარებით იაფად შეიძინონ პრეპარატები, ცხადია, სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე.

**— ეს მედიკამენტები 2022 წლიდან შემოგაქვთ... პრობლემა როდის შეგექმნათ და რატომ?**

— ეს გახლავთ სპეციფიკური მედიკამენტები, მათ შენახვის სპეციალური პირობები ესაჭიროება. ვინაიდან ჩვენ ეს პირობები არ გვქონდა, მივაბარეთ ერთ-ერთ აფთიაქს, კერძოდ, „ედელვაის ბ-ს“, რათა შემდეგ პაციენტებს იქიდან გაეტანათ. მედიკამენტებს ფორმა-100-ის საფუძველზე ვაწვდიდით აფთიაქს და შესაბამისად, გაჰქონდათ პაციენტებს.

**— ეს მედიკამენტები აქამდე არ იყო ქართულ ბაზარზე?**

— ჩვენ მიერ შემოტანილი მედიკამენტების უმრავლესობა ბაზარზე ხელმისაწვდომი არ იყო, ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც ხელმისაწვდომი გახლდათ, იყო ბევრად ძვირი. მაგალითად, ჩვენ მიერ შემოტანილი ერთ-ერთი მედიკამენტი თუ ღირდა 2200 ლარი, იგივე მედიკამენტი, რომელიც „ავერსს“ შემოჰქონდა, 7500 ლარად იყიდებოდა. უფრო დიდი ფასთა სხვაობებიც იყო, მაგრამ ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

**— ამ მედიკამენტებს სახელმწიფო აფინანსებდა. ამასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი რაღაც სქემაზე საუბრობდა, რომელშიც 60 ონკოლოგი იყო ჩართული.**

— გაუგონარი ფაქტია, საქართველოში სამოცამდე ონკოლოგი გვყავს და ყოფილი მინისტრი ყველას დაუპირისპირდა. ექიმებზე საკმაოდ დიდი ზეწოლა იყო, ჯანდაცვის სამინისტროში სამსაათიანი დაკითხვები მიდიოდა, ექიმებს ეკითხებოდნენ, თუ რატომ ნიშნავდნენ კონკრეტულად ამ მედიკამენტებს და რატომ გადაარჩინეს (!!!) ონკოლოგიური პაციენტები. ისინი უხსნიდნენ, რომ ძალიან კარგი შედეგები ჰქონდათ, რომ ეს პრეპარატები იაფი ღირდა, ხარისხი კი ორიგინალს არ ჩამოუვარდებოდა (ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათი უმრავლესობა საერთოდ არ იყო ბაზარზე) და უამრავი ადამიანისთვის ეს შვება გახლდათ. ექიმებს ადანაშაულებდნენ, დაურეგისტრირებელ წამლებს უწერდით პაციენტებსო. არადა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2023 წელს საქართველოში დაახლოებით 180 000 კოლოფი დაურეგისტრირებელი მედიკამენტი შემოვიდა, მათ შორის უმრავლესობა „ავერსმა“ შემოიტანა და ამ წამლების დიდი ნაწილი ონკოლოგიური მედიკამენტი იყო.

**— წამლების რეგისტრაცია რატომ ვერ მოახერხეთ?**

— ფორმა-100-ით მედიკამენტის შემოტანა ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, ასე დავიწყეთ, რადგან ამის საჭიროება იდგა. ჩვენი მიზანი იყო დაგვერეგისტრირებინა ეს მედიკამენტები, გაგვეხადა ისინი უფრო ხელმისაწვდომი და შესულიყო სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში, ვინაიდან ამ მედიკამენტების შემთხვევაში, თუ ისინი სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში ჩაჯდებოდა, ის ლიმიტი, რომელიც სახელმწიფოს აქვს გამოყოფილი, სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ პაციენტს მთელი წლის განმავლობაში ემკურნალა.

დოკუმენტაცია შევაგროვეთ და სარეგისტრაციოდ შევიტანეთ, მაგრამ რაღაც ეტაპზე წამლის სააგენტომ რეგისტრაციის პროცესი შეაჩერა. კულუარებში იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ „ნოვარტისი“ და „ასტრაზენეკა“ აქტიურობს, „ნოვარტისი“ ამბობს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებენ და ა. შ. არადა, „ნოვარტისსა“ და „ასტრაზენეკას“ ჰქონდათ ძვირიანი ანალოგები. ეს მედიკამენტები ჩვენ გავხადეთ ხელმსაწვდომი და ეს ემსახურებოდა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას. სახელმწიფოს მხრიდან Beacon Medicare Limited-ის მედიკამენტების რეფერალურ პროგრამაში ჩასმა აღვიქვით სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერად. მთავრობის კურსიც ეს იყო, რომ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა. ჩვენ მოვახერხეთ ამის გაკეთება და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედი გვქონდა, მით უმეტეს, რომ პაციენტებიც მადლიერები იყვნენ.

წამლის სააგენტო შემოდგომაზე, რატომღაც, ბანგლადეშს ეწვია და ორი საწარმო მოინახულა, მაგრამ არ მოინახულა კონკრეტულად ის საწარმო, რომელიც ჩვენ გვაწვდიდა მედიკამენტებს. როდესაც ამის მიზეზით დავინტერესდი, პასუხმა გამაოგნა — „ასეთი მედიკამენტები მარტო თქვენ შემოგაქვთ და რატომ უნდა შემოგქონდეთ მარტო თქვენ?!“

როგორც კი ჩვენი მედიკამენტები დაილუქა, „ავერსმა“ იმავე დღეს დაიწყო დაანონსება, რომ იგივე შინაარსის მედიკამენტებს ინდოეთიდან ჩამოიტანდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთს არ აქვს ამ პრეპარატების წარმოების უფლება და აწარმოებს მათ ფალსიფიცირებულად, ეს არის წამლის ბიზნესში საკმაოდ ცნობილი „ფეიკ-მედიკამენტები“. თუმცა, წამლის სააგენტო ამაზე არ რეაგირებს.

**— „ავერსის“ ინტერესები გასაგებია... წამლის სააგენტოს რა ინტერესები აქვს?**

— კერძო კომპანიას ლობირებენ ცალკეული ჩინოვნიკები, თუ რატომ - ამის მიხვედრა არ უნდა იყოს ძნელი.

* * *

**ეს არის სუფთა კორუფციული გარიგება. როდესაც წამლების რეგისტრაცია შეგვიჩერეს, თამარ გაბუნიას ოფიციალური წერილით მივმართეთ, ვთხოვეთ, შეგვხვედროდა, შევთავაზეთ, მათ ექსპერტებთან ერთად წავსულიყავით და ბანგლადეშის საწარმო გვენახა. რეაგირება — ნული!!! ამ დროს ევროპულ კომპანიებთან აფორმებენ მართლაც საეჭვო ხელშეკრულებებს და იგივე მედიკამენტებს სამჯერ უფრო ძვირად ყიდულობენ. პაციენტები გვთხოვენ, გვერდით დაგვიდგებით, გამოდით და ილაპარაკეთო. ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავიღებთ მათი მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად!**

ესაუბრა

**გვანცა გიორგობიანი**

### რედაქციისგან:

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ სამარცხვინო კორუფციულ გარიგებებზე კვლავაც განაგრძობს საუბარს. ვიმედოვნებთ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო, წამლის სააგენტო, „ნოვარტისის“, „ავერსის“ და სხვა დაინტერესებული კომპანიების ხელმძღვანელები გულწრფელად გვიპასუხებენ ამ წერილში წამოჭრილ პრობლემებზე, გაარკვევენ ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფებს და იმათ პატრონებს, თუ ვინ არის კონკრეტული დამნაშავე!..**

# რუსეთი ნატოსთან და ფინეთთან საომრად ემზადება?



**ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ცნობით, რუსი სამხედროები აყალიბებენ ლენინგრადის სამხედრო ოლქებს და მოსკოვის სამხედრო ოლქს ნაწილობრივ ფინეთსა და ნატოსთან საბრძოლველად,** – ამის შესახებ ინფორმაციას **„ომის შესწავლის ინსტიტუტი“** ავრცელებს.

ანგარიშის თანახმად, გასულ წელს რუსეთმა პეტერბურგის მახლობლად, ლადოგის ტბაზე პირველად განათავსა „კალიბრის“ რაკეტებით აღჭურვილი ხომალდები, რაც, სავარაუდოდ, გაკეთდა ფინეთის ნატოში გაწევრიანების საპასუხოდ. გარდა ამისა, რუსეთმა ბალტიის ზღვაზე „ტუ-22მ3“ მძიმე ბომბდამშენების ფრენების რაოდენობაც გაზარდა. „ომის შესწავლის ინსტიტუტი“ ლიეტუვის დაზვერვაზე დაყრდნობით წერს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მნიშვნელოვანი რესურსები გამოყო უკრაინის ომისთვის, მას ასევე აქვს რეზერვები ბალტიის ზღვის რეგიონში ალიანსთან დაპირისპირებისთვის მოსამზადებლად. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ ზომებით რუსეთი ნატოსთან გრძელვადიანი დაპირისპირებისთვის ემზადება.

# ვინ დაუჭერს მხარს საფრანგეთს?

**საფრანგეთის ჯარები ევროპაში მტრის წინააღმდეგ მაღალი ინტენსივობის კონფლიქტისთვის ემზადებიან,** – ამის შესახებ „პოლიტიკო“ წერს.

გამოცემის თანახმად, საფრანგეთის არმიის დანაყოფები წვრთნებს ატარებენ აღმოსავლეთ საფრანგეთში განთავსებულ საბრძოლო მომზადების ცენტრში, სადაც პირობები მაქსიმალურად ახლოს არის რეალურ ბრძოლის ველთან. 120 კვადრატული კილომეტრის (პარიზზე დიდი) ფართობის ბანაკი უნიკალურია საფრანგეთში. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ფრანგული არმიის სხვადასხვა ქვედანაყოფებს – ქვეითებს, ჯავშანტექნიკას, არტილერიას და ინჟინრებს, რომლებიც ჩვეულებრივ მიმოფანტული არიან ქვეყნის მასშტაბით, შეუძლიათ, ერთად ივარჯიშონ. ოფიცრები არ ასახელებენ პოტენციურ მტრებს, მაგრამ სწავლება მიზნად ისახავს ჯარების მომზადებას რუსეთის მსგავს მტერთან საბრძოლველად. საფრანგეთის არმიაში აცხადებენ, რომ აფრიკაში ათწლეულების განმავლობაში სამხედრო ოპერაციების შემდეგ საფრანგეთი სულ უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას ევროპის აღმოსავლეთ ფლანგზე.

„პოლიტიკო“ ასევე წერს, რომ, **გერმანიის წინააღმდეგობის ფონზე, საფრანგეთი ქმნის ქვეყნების ალიანსს, რომლებიც ღია არიან უკრაინაში დასავლური ჯარების პოტენციურად გაგზავნისთვის. გამოცემის თანახმად, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის დროს საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სტეფანე სეჟურნემ განაცხადა, რომ მომდევნო თვეებში არაფერია გამორიცხული.**

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარიამ გელხაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.064)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 66273.5 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 25 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96718024;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 967180

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96718024; ლოტის ნომერი: 967180).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 25 მარტის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ინტიგამ ზეინალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ინტიგამ ზეინალოვი (პ/ნ 28001073391), მარნეული, ს. ბეგლიარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეულის რაიონი, სოფელი ბაილარი (საკადასტრო კოდი: 83.04.20.943)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13612.21 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 25 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96718124;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 967181

6. **მოვალე:** ინტიგამ ზეინალოვი (პ/ნ 28001073391), მარნეული, ს. ბეგლიარი;
სულტანატ ზეინალოვა (პ/ნ 28001101872), მარნეული, ს. ბეგლიარი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96718124; ლოტის ნომერი: 967181).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 25 მარტის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარი ბეგიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოდარი ბეგიაშვილი (პ/ნ 40001021394), სიღნაღი, ს. ძველი ანაგა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
სიღნაღი, ს. ძველი ანაგა (საკადასტრო კოდი: 56.08.49.226)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 53563.73 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 25 მარტი, 14:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96718224;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 967182

6. **მოვალე:** ნოდარი ბეგიაშვილი (პ/ნ 40001021394), სიღნაღი, ს. ძველი ანაგა;
ნანა გრიგალაშვილი (პ/ნ 40001018431), სიღნაღი, ს. ძველი ანაგა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96718224; ლოტის ნომერი: 967182).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 25 მარტის 12:00 საათამდე.

ხუთი რგოლი

# ისტორიაში პირველად





**საქართველოს პარიზის ზაფხულის პარალიმპიურ თამაშებზე პარა ტაეკვონდოს წარმომადგენლები ეყოლება. ანა ჯაფარიძემ და გიორგი ნიკოლაძემ ლიცენზია ოფიციალურად მოიპოვეს და საფრანგეთში გასამართავ ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირზე გამოვლენ.**

პარიზი 2024-ის ლიცენზიები ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ევროპის საკონტინენტო ტურნირზე გათამაშდა, სადაც ქართველმა პარასპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს.

ჯაფარიძემ ნახევარფინალში ჯერ ბრიტანელ კირა ფორსაიტს სძლია, ფინალში კი ნეიტრალური სტატუსით მოასპარეზე რუსი ანა პოდდუბსკაია დაამარცხა. რაც შეეხება ნიკოლაძეს, მან ნახევარფინალში ესპანელი გაბრიელ ამადო გარაგაზა დატოვა ასპარეზობის მიღმა და ფინალში უდიდესი უპირატესობით მესიეუ კესიცკის 48:19 სძლია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ისტორიაში პარა ტაეკვონდოსთვის ეს პირველი ლიცენზიებია!

აუზში




# ევროპის თასზე დამსხვრეული სტერეოტიპი

**მას შემდეგ, რაც თბილისის დინამომ ჩემპიონთა ლიგის სიკვდილის ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა, ევროთასზე დაქვეითდა ისევე, როგორც საკლუბო წყალბურთის ისეთი გრანდები, როგორიცაა ბარსელონეტა, ვულიაგმენი და შპანდაუ, ახალ ტურნირში კი პლეი-ოფიდან ჩაება და პირველი მერვედფინალური მატჩი სტუმრად ხორვატულ პრიმორიესთან გამართა.**

ორი ბალკანელი ლეგიონერით გაძლიერებულმა ჩვენმა გუნდმა დიდი ბრძოლა გადაიტანა და 23 მარტს გასამართავი საპასუხო რაუნდის წინ საბოლოო წარმატებისთვის კარგი პლაცდარმი შეიქმნა – 7:8. აღსანიშნავია, რომ ტრადიციის საპირისპიროდ ამჯერად ფიზიკურთან ერთად ფსიქოლოგიური სიმტკიცეც გამოვავლინეთ და წყვილის ფავორიტს მეორე ტაიმი მოვუგეთ კიდეც.

ასეა თუ ისე, ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი გვაქვს და, ვიმედოვნებთ, მორიგ ეტაპზე გასვლის შანსს ხელიდან არ გავუშვებთ, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზურგს უკვე საკმაო გამოცდილებაც გვიმაგრებს.

ლეგიონერი

# ხვიჩამ აიწყვიტა!..

**გახსოვთ გრაპენტინი? – დიახ, კარლ ცაისის სწორედ ის ორმეტრიანი გიგანტი მეკარე, რომელმაც ჩვენთვის ისტორიულ 1980-1981 წლების სეზონში სასწაულები ჩაიდინა, განსაკუთრებით – უელსის პროვინციულ ნიუპორტთან საპასუხო მეოთხედფინალში, მაგრამ გუცაევმა და დარასელიამ სატიტულო ბრძოლაში დაბალ კუთხეში უძლიერესი დარტყმებით სუსტი წერტილი მაინც მოუძებნეს და, სხვა კომპონენტების თანხლებით, დიუსელდორფის ტრიუმფი გამოჭედეს.**

გერმანელ კოლეგას სიმაღლითა და გაბარიტებით არც ტორინოს სერბი გოლკიპერი მილინკოვიჩ-სავიჩი ჩამორჩება, რომელმაც იტალიის სერია – ა-ს 28-ე ტურის გასვლით შეხვედრაში **ხვიჩა კვარაცხელიას** რამდენიმე დუელი მოუგო, მაგრამ იმ ეპიზოდში, როცა თებერვლისთვის ნაპოლის საუკეთესო ფეხბურთელმა მარიო რუის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ დასწრებაზე ითამაშა და ახლო მანძილიდან თავისივე წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაასრულა, ისიც უძლური აღმოჩნდა.

მართალია, საბოლოოდ მასპინძლებმა ძვირფასი ქულები დაკარგეს – 1:1, მაგრამ ჩვენ თანამემამულის ძველ კონდიციებში დაბრუნება და ზედიზედ სამ მატჩში გატანილი 4 ბურთი გვახარებს, მთლიანად მიმდინარე კალჩოში კი მისმა პირადმა მონაგარმა 10 გოლსა და 5 შედეგიან გადაცემას უწია.




რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ხვალინდელი საპასუხო რაუნდს, კამპანიელთა მეტოქეს ბარსელონას ძვირი დაუჯდა მალიორკასთან მძიმე გამარჯვება – 1:0 (იამალი), რადგან კატალონიელთა ლაზარეთში დე იონგს, პედრისა და გავის რაფინიაც შეუერთდა, რომელმაც ტრავმა შესვენებამდე მიიღო.

კახა კალაძე:

# მინდა, რომ კვარაცხელია ისეთ გუნდში ვნახო, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია



თბილისის მერმა **კახა კალაძემ** Gazzetta Dello Sport-ს ინტერვიუ მისცა, რომელშიც „მილანზე" ისაუბრა, მაგრამ ასევე კომენტარი ხვიჩა კვარაცხელიაზეც გააკეთა.

**„ყველას აქვს დასასრული, მაგრამ პიოლი ძალიან კარგ მწვრთნელად მიმაჩნია. მან ეს დაამტკიცა არა მარტო სკუდეტოს მოგებით, არამედ ფეხბურთელების საუკეთესო კონდიციაში ჩაყენებით. ის რთულ მომენტებში მარტო არ უნდა დატოვონ. ბევრი მუშაობაა საჭირო ძლიერი ხელმძღვანელობის შესაქმნელად, რომ „ინტერთან" ჩამორჩენა აღმოიფხვრას. ეს კლუბის ბოსების დავალებაა, იბრაჰიმოვიჩიდან დაწყებული.**

**ტეო ერნანდესი კარგი და გადამწყვეტი ფეხბურთელია. ლეაოსთან მისი დუეტი მომაკვდინებელი მახეა. სწორედ ამ ორ ფეხბურთელზე უნდა დაშენდეს გუნდი, რადგან ევროპაში ასეთი ძლიერი დუეტი ძალიან ცოტას თუ ჰყავს. ლიდერშიპს სატრანსფერო ბაზარზე ვერ იყიდი, გუნდში ახალ მოსულ ფეხბურთელს ვერ მოსთხოვ, რომ გუნდის ლიდერი გახდეს, როგორც ეს იბრას შეეძლო. ჩემს დროს მილანელობზე იყვნენ მალდინი, კოსტაკურტა და გატუზო. რა თქმა უნდა, ქარიზმის ეს დონე ახლა მიუღწეველია, გარდა ამისა, უამრავი დიდი ფეხბურთელი გვყავდა, ძმებივით ვიყავით, სწორედ ასეთი ატმოსფერო უნდა შეიქმნას, რათა „მილანმა" კვლავ გაიმარჯვოს.**

**ჟირუს პირველ რიგში მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველაფრისთვის, რაც გააკეთა, ეს არ იყო ადვილი, მაგრამ ის მაგალითი იყო. თუმცა, „მილანს" აუცილებლად სჭირდება შევჩენკოს მსგავსი ტრანსფერი, უკვე ძლიერი ფეხბურთელი, მაგრამ ასევე ძლიერი პოტენციალით. გუნდმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი თანხა და თამაში მის გარშემო ააწყოს.**

**კვარაცხელია მინდა ტოპ გუნდში ვნახო. გუნდში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია, რადგან ეს არის მისი დონე – მადრიდის „რეალი" ან „მილანი". კარგი იქნება, თუ მას „მილანი" შეიძენს",** – თქვა კალაძემ.

ფარქვეშ

# ქულებიც, მოგებაც



**ბექა ბურჯანაძის სეზონის საუკეთესო მატჩი ესპანეთის LEB ORO-ში, რომელიც რანგით მეორე დივიზიონია Liga Endesa-ს შემდეგ. ბურჯანაძის გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და მთავარ კონკურენტს ქართველი ლეგიონერის წინამძღოლობით დამაჯერებლად სძლია. ბურჯანაძის კორუნა ბასკეტმა ესტუდიანტესს უმასპინძლა და 114:88 მოუგო. ეს კორუნელთა ზედიზედ მე-12 გამარჯვება გახლდათ.**

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე გამოსულმა თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი – 28 წუთი ითამაშა. ბექამ 4-დან 2 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგო. ქართველმა ფორვარდმა მთლიანობაში 21 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. კორუნა ბასკეტში მასზე მეტი ინგუს იაკოვიტსმა მოაგროვა, რომელმაც შეხვედრა 28 ქულითა და 7 პასით დაასრულა.

კორუნა ბასკეტს 23 ტურის შემდეგ 19 მოგება აქვს და უკვე 2 ქულით უსწრებს ესტუდიანტესს. მომდევნო მატჩს ბურჯანაძის გუნდი კვლავ შინ, 12 მარტს, გიპუზკოას წინააღმდეგ გამართავს.

კორტზე

# გამორიცხული არაფერია

**სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, დიდი სლემის 24-გზის გამარჯვებულმა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ლოს-ანჯელესში (აშშ) 2028 წლის ოლიმპიურ თამაშებში შესაძლო მონაწილეობაზე ისაუბრა.

**„ვნახოთ. ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. მაგრამ ეს აზრი მაწუხებს. მიყვარს ოლიმპიადებზე მონაწილეობა. როგორც ვიცით, ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით იქ ვიქნები თუ არა.**

**ვფიქრობ, წლიდან წლამდე ვიმუშავებ და ვნახავ, როგორ რეაგირებს ჩემი სხეული და რამდენად დაინტერესებული და მოტივირებული ვიქნები. მოტივაციის პოვნა სულ უფრო რთული ხდება, მაგრამ მაინც მიყვარს სპორტი, ჯერაც უმაღლეს დონეზე ვასპარეზობ და ჯერ კიდევ ნომერ პირველი ვარ მსოფლიოში",** – თქვა ჯოკოვიჩმა პრესკონფერენციაზე.



არდავიწყება

# ბოლომდე კაცად, ადამიანად დარჩა...



არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ სამყაროს უკვდებიან და მერე საკუთარ თავს, ჯემალ გახოკიძე ერთ-ერთი იყო მათ შორის. კაცი იმედიანი, უღალატო, ძლიერი, კეთილი, სევდიანი, რომლის თვალებში იკითხებოდა დიდი ტკივილი... რა იყო ეს სევდა, ადამიანად ყოფნისა თუ არ ყოფნის, უფრო ალბათ სევდა და ტვირთი იყო ადამიანად ყოფნისა, ადამიანობისა, რაზეც უარი არასოდეს უთქვამს და ბოლომდე კაცად დარჩა...

ბატონი ჯემალი დააკლდება ოჯახს, თბილისს, მეგობრებს, მისთვის ეგზომ ძვირფას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ჩვენს, სამართალისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, რომელსაც ბოლო წუთამდე გულშემატკივრობდა. ის იყო ქალაქის გამორჩეულ და განთქმულ ტრადიციებზე გაზრდილი, თავადაც ამ ტრადიციების მატარებელი — კეთილგონიერი, კეთილმოსურნე, ყურადღებიანი, საიმედო, უსამართლობისა და დამნაშავეების წინააღმდეგ დღენიადაგ შემართული ქვეყნისა და საერთო საქმისათვის მებრძოლი. ყოველთვის აღელვებდა საზოგადოება და საქვეყნო სატკივარი, მუდამ იქ იყო სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა. ეს კარგად გამოჩნდა ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ გახოკიძის მოსვლამ, ახალი სული შთაბერა ქვეყნის უშიშროების სამსახურს. ბეწვის ხიდზე გაიარა, რამდენჯერმე ჩახედა სიკვდილს თვალებში, მაგრამ უკან არ დაუხევია. მისმა საზრიანმა მოქმედებებმა ორჯერ გადაარჩინა ქვეყანა სისხლისღვრას. ორ შვილმკვდარ და ტრაგედიებგამოვლილს არასდროს შეშინებია სიკვდილის, რადგან უფრო მაღლა იდგა ამ ყველაფერზე და ჩვენც, თავისი გარდაცვალებით კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მარადიულია არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ ღირსება!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, არასოდეს მიეცემი დავიწყებას სანამ შენი საყვარელი ოჯახის წევრები, არაჩვეულებრივი შვილიშვილები, მეგობრები, შენი აღზრდილი თაობა ივლის ამქვეყნად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეექვსე სართულზე ქვეყნის პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას აუდიტორიაში ლითონის პატარა ფირფიტაზე, სხვათა გვერდით ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ჯემალ გახოკიძის სახელი! სიამაყესთან ერთად, დღეს, ამ წარწერას ტკივილი მოაქვს, თითქოს მასში თავმოყრილია სიკვდილის გარდაუვალობაც, ტკივილიც და მარადისობაც!

წავიდა ერთ უიშვიათესად კეთილშობილი კაცი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ამაყი სული...

**იგორ კვესელავა, არჩილ ფრანგიშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, ვანო ჯაგოდნიშვილი, ირაკლი გაბისონია, სოფო მიდელაშვილი, რევაზ მიშველაძე, ჯემალ გაბელია, ალეკო ტალიაშვილი, ნინო ნიშნიანიძე, ციალა გლოველი, ანა ფუტკარაძე, მირანდა გურგენიძე, ჯემალ ჯანაშია, თამარ კიკნაძე, ედიშერ გვენეტაძე, ზურაბ კვეტენაძე, გივი ლობჟანიძე.**

გივი ბიბილაშვილის და ლიზა ბალიაშვილის ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს

**უშანგი ბათიაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# საწამლავი ზღვაში!

## აფხაზური უბედურების ფრინველი...



**გვერს ამ დრომდე ვერ გაუგია, რა მოხდა, რატომ იხოცება აფხაზეთის აკვატორიაში ფრინველი, რატომ ხდება ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ, რომელსაც დიდი ხანია, გვერ რამეზე ვხუჭავთ.**

არაფერიც არ მოხდა, უფრო სწორად, მოხდა, მაგრამ დიდი ხნის წინ.

**20 წელია, აფხაზეთში მიღებულია ათასგვარი კანონი კორუფციული სქემებისთვის, რომლებიც ბუნებას ღუპავს, მაგრამ ჩინოსნებს ამდიდრებს. უკვე ტრადიციულად, თევზსაჭერი სეინერები ათასგვარი ხელშეკრულებისა და ლიცენზიის საფუძველზე ქვეყნის ბიუჯეტს გასაოცარი თანხებით — 1 კგ ჭიჭყინაში (ხამსაში) 2 რუბლით ავსებენ, ყველაზე დიდი ჯარიმა კი 3 000 რუბლს შეადგენს.**

და ეს ყველაფერი — მთავრობისა და მისი ეკოლოგების, ასევე იმ მოსახლეობის მდუმარე თანხმობით, რომელიც იმ ბიუჯეტიდან პენსიის სახით 1 კგ-ში ისეთივე მიზერულ თანხებს იღებს. ხელმძღვანელი პირები და არაკეთილსინდისიერი თევზმჭერები კი კვლავინდებურად ღუპავენ ჩვენს და არა მარტო ჩვენს ბუნებას და არაფერი ადარდებთ, საკუთარი შემოსავლების გარდა.

ბოლო შემთხვევა, რომლის შესახებაც ყველამ იცის, მაგრამ ამდენს დუმან, ამას წინათ თევზსაჭერი სეინერების არალეგალური სარდაფების არალეგალურ მაცივრებში შენახული ამიაკით მოწამლული რამდენიმე თურქი მეზღვაურის გარდაცვალებას უკავშირდება. ამ ინციდენტის შემდეგ ყველა დანარჩენმა სეინერმა საშიში ამიაკი იაფი და მარტივი გზით მოიშორა — ზღვაში ჩაღვარა, რის გამოც ახლა ათასობით ფრინველი იხოცება.

ბუნების წინაშე ამ დანაშაულის ვერსია საქმეში ჩადეხულმა კომპეტენტურმა პირებმა შეგვატყობინეს, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო ანონიმებად დარჩენას ამჯობინებენ. ბაქქანალიამ, რომელიც „ბიზნესის“ ამ სფეროში დიდი ხანია, გრძელდება, ფრინველების მასობრივი დაღუპვა და ეკოვითარების მკვეთრი გაუარესება გამოიწვია, რომელიც, მაღალი ალბათობით, აფხაზეთის აკვატორიის ფარგლებს გასცდება. მაგრამ ხელისუფლებაც და მისი ეკოლოგებიც დუმილს ინარჩუნებენ. ორივენი თევზებივით დუმან. ყველას თავისი ინტერესი აქვს.

**თევზი, რომელიც ბიუჯეტს ავსებს (არა სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, არამედ კერძო პირთა წრის), მათ დიდი ხანია, აღარ ეცოდებათ. დიდი ამბავი, კილოში — 2 რუბლი...**

ახლა აღარც ფრინველი ეცოდებათ — მთავარი ხომ ბიუჯეტის შევსებაა — არა იმდენად სახელმწიფოსი, რამდენადაც საკუთარის, ეს კი ბევრ რამეზე თვალის დახუჭვას მოითხოვს...

**ამას უკავშირდება დუმილიც, „ეპიდემიის“ შესახებ ბრიყვული ვერსიებიც. ადამიანი ხომ ბუნების მეფეა... ხოლო თუ ეს ადამიანი ყველაფერთან ერთად ხელმძღვანელი პირიცაა...**

**მოვა დრო, ბუნება ჩვენ — მის „მეფეებს“ აუცილებლად გვაზღვევინებს. და მართალიც იქნება.**

**ინალ არისთავა**

კრიმინალი

## 10 ბინის ქურდობა და მოპარული 170 000 ევრო...

**ათი ქურდობა ავსტრიის ქალაქ კრემსის სხვადასხვა რაიონებში და 107 000 ევროს ჯამური ზარალი — ავსტრიაში ქართველების დაჯგუფება დააკავეს. მედიის ცნობით, საქართველოს ოთხმა მოქალაქემ 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის იანვრის ჩათვლით, სახლები გაქურდეს.**

მედიის ცნობით, 32-დან 35-წლამდე ქართველებმა სხვადასხვა დროს სახლებიდან ფული და ძვირფასეულობა მოიპარეს. ერთ-ერთი ბინიდან კი ნაღდი ფულით სავსე სეიფი წაიღეს.

გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ისინი პოლონური სანომრე ნიშნის მქონე ავტომობილით გადაადგილდებოდნენ და გატეხილი სეიფიც ჩეხეთში იპოვეს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქართველები ავსტრიელმა სამართალდამცველებმა იანვარში, სახლის ქურდობის ფაქტზე დააკავეს. ისინი ამ დროისათვის კრემსის ციხეში, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. გარდა ამისა, ეძებენ კიდევ ერთ სავარაუდო დამნაშავეს.

## მამაკაცმა ყოფილ მეუღლეს მანქანა დაუწვა!

**რუსთავში, ოჯახური დანაშაულისთვის მამაკაცი დააკავეს. მამაკაცმა ყოფილ მეუღლეს ჯერ მანქანა დაუზიანა, შემდეგ კი ცეცხლი მოუკიდა და დაწვა. მანამდე ის ქალს ცივი იარაღით ემუქრებოდა და შერიგებას სთხოვდა.**

## გარყვნილი ქმედების ბრალდებით 40 წლის კაცი დააკავეს

**რუსთავში 12 წლამდე ბავშვის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით მის მეზობლად მცხოვრები 40 წლამდე მამაკაცი დააკავეს** — ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, კაცმა არასრულწლოვანი საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოტყუებით აიყვანა, პორნოგრაფიული შინაარსის ვიდეო აყურებინა და ინტიმურ ადგილებზე შეეხო.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, სავარაუდო დამნაშავე ბავშვს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ შეხვდა და გარყვნილი ხასიათის ქმედება ამჯერად ფულის სანაცვლოდ შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. არსებული ინფორმაციით მომხდარის შესახებ გოგონამ მშობლებს უამბო, რის შემდეგაც პოლიციას შეატყობინეს და მამაკაცი დააკავეს.

## ნარკოდანაშაულში ბრალდებულ ცოლ-ქმარს 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა!

**საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ხელვაჩაურის სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, ორი პირი დამნაშავედ ცნო.**

უწყების ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ცოლ-ქმარმა, ჯგუფურად, უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება — 68,3252 გრამი მეთადონი (მარილი).

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) წარედგინათ. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

## მშენებლობისას დაღუპული პირი 26 წლის ბიჭია!

**ცნობილი ხდება იმ პირის ვინაობა, ვინც გუშინწინ თემქაზე, მშენებარე კორპუსიდან გადმოვარდა — დაღუპული 26 წლის ვახო ქართველიშვილია.**

შემთხვევის ადგილზე მთელი ღამე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა. ტერიტორია კვლავ ყვითელი ლენტითაა შემოსაზღვრული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. სწორედ გამოძიების მიმდინარეობისას გახდება ცნობილი, იყო თუ არა მშენებარე ობიექტზე უსაფრთხოების ზომები დაცული.

**შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა კაცი მე-11 სართულის სიმაღლიდან გადმოვარდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადას ის უკვე გარდაცვლილი დახვდა. დაღუპულის ახლობლები ამბობენ, რომ ობიექტზე უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იყო.**

# ტიმოთესუბნის ექსტერიერის რესტავრაცია დასრულდა



**ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ექსტერიერის დასრულებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ აზნაურაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების რესტავრაციისა და ხელოვნების საბჭოს ხელმძღვანელი მიტროპოლიტი დავითი-აბბა ალავერდელი, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი, მთავარი არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე და დარგის სპეციალისტები.**

2022-2023 წლებში ტაძარში მოიხსნა დროებითი თუნუქის საფარი; მთელ სახურავზე ლორფინი გაიწმინდა ლიქენებისა და მცენარეული საფარისგან; ლორფინებს შორის არსებული ნაკერები ამოსუფთავდა და ამოიგოზა; ტაძრის ლორფინის სახურავზე დაიგო სპილენძის საფარი, რისთვისაც სრულად შეიფიცრა სახურავის დახრილი სიბრტყეები; შეფიცრულ სახურავზე დამაგრდა ხის ლილვები და ისინი დაიფარა მაღალი ხარისხის სპილენძის ფურცლებით (0,7 მმ), რომლებსაც წინასწარ ჩაუტარდა ექსპერტიზა, ტაძრის ფასადის კედლებს ჩაუტარდა ქვის კონსერვაცია, მოსცილდა ცემენტის დუღაბი შუალედებში და ისინი კირდუღაბით ამოიგოზა.

მოცემულ ტაძარზე, ბოლო ათწლეულების განმავლობაში თითქმის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ლორფინის სახურავის გადაწყობა, ამოგოზვა, მაგრამ ტაძარში წყალი კვლავ ჩადიოდა. ამიტომ ძეგლის უკეთ დასაცავად შეირჩა მაღალი ხარისხის სპილენძის მასალა, რაც განაპირობებს ტაძრისა და მისი კედლის უნიკალური მხატვრობის უსაფრთხოებას დიდი ხნის განმავლობაში. ასე რომ, წყლის ჩადინების პრობლემა მოგვარებულია და ძეგლი დაცულია გარემო პირობების ზემოქმედებისაგან.

ტიმოთესუბნის XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტიმოთესუბნის მიდამოებში მდებარეობს.

## რომის პაპი: უკრაინას უნდა ჰქონდეს „თეთრი დროშის“ აღმართვის გამბედაობა



**უკრაინას უნდა ჰქონდეს „თეთრი დროშის“ აღმართვის გამბედაობა,** – ეს განცხადება რომის პაპმა, ფრანცისკემ შვეიცარიული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ინტერვიუ თებერვალშია ჩაწერილი და სატელევიზიო ეთერში 20 მარტს გავა.

პაპს კითხვა დაუსვეს სხვადასხვა მხარეთა შორის დებატებზე, რომლის ერთი ნაწილიც ფიქრობს, რომ უკრაინა უნდა დანებდეს, რადგან ვერ შეძლო რუსეთის შეჩერება, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ ეს აგრესორის ქცევის ლეგიტიმაციას ახდენს. ინტერვიუს დროს ტერმინი „თეთრი დროშა“ თავდაპირველად ჟურნალისტმა გამოიყენა.

**„მე ვფიქრობ, რომ ყველაზე ძლიერი არის ის, ვინც ვითარებას უყურებს, ფიქრობს ხალხზე, „თეთრი დროშის“ აღმართვის გამბედაობა აქვს და აწარმოებს მოლაპარაკებებს. სიტყვა „მოლაპარაკებები“ ვაჟკაცური სიტყვაა. როცა ხედავ, რომ დამარცხებული ხარ, რომ საქმე არ მიდის კარგად, უნდა გქონდეს მოლაპარაკებების გამართვის გამბედაობა“,** – განაცხადა რომის პაპმა.

## უკრაინაში ქართული ლეგიონის კიდევ ორი მებრძოლი დაიღუპა



**უკრაინაში დაღუპულ ნოდარ ნასიროვს უკრაინაში დაკრძალავენ, გიორგი გოგიაშვილს კი სამშობლოში რამდენიმე დღეში ჩამოასვენებენ.**

ორივე მათგანი ქართულ ლეგიონში ირიცხებოდნენ და რუსული აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ქართველ მეომრებს საბრძოლო მასალა დანიშნულების ადგილზე გადაჰქონდათ. ამ დროს მანქანა ამოტრიალდა და აფეთქდა.

## მეუფე იაკობი: ადამიანი შექმნა ღმერთმა მამაკაცად და დედაკაცად...



**– ამის შესახებ ბოდბელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა განაცხადა.**

მისი თქმით, პოლიტიკოსებმა უნდა დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, როგორ უყურებენ ამ საკითხს.

**„ვაჟი რომ გაგიჩნდება, როგორ გიხარია ხომ? გოგო რომ გეყოლება, როგორ გიხარია და შემდეგ... თურმე თვითონ ირჩევს, ვინ არის, ბიჭია თუ გოგო. ამაზე ქართველ საზოგადოებაში დღესვე უნდა შედგეს საუბარი და ეს თემა საერთოდ უნდა დაიხუროს. ჩვენ ძველი დროიდან მოყოლებული ვიცით, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა – მამაკაცად და დედაკაცად. რადგან მსოფლიოში არეულია კაცია თუ ქალი და ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვადგებიან, ჩვენც გვეტყვიან, მასე გააკეთეთო. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ და რა გვინდა...**

**პირდაპირ გეტყვით, ვინც დღეს ერიდება ამ თემაზე საუბარს, ჩვეულებრივი გამყიდველია. ერთს პოლიტიკაში მოსვლა რომ უნდა, ამ თემაზე რომ წავიდა საუბარი, თქვა, ეს რუსული ნარატივიაო. რუსი და არაქართველი შენ ხარ“,** – განაცხადა მეუფე იაკობმა.

## უკრაინის შეიარაღებულ ძალებში ქალების რაოდენობა იზრდება



**2024 წლის იანვრის მონაცემებით, უკრაინის არმიაში 45 587 ქალი მსახურობს. ეს რიცხვი 2 108-ით აღემატება 2023 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მონაცემს,** – ამ ინფორმაციას უკრაინის სამხედრო მედია-ცენტრი ავრცელებს.

13 487 ქალს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსი აქვს, მათგან 4000-ზე მეტი ამჟამადაც საომარი მოქმედებების ზონაში იმყოფება.

2024 წლის მონაცემებით, შეიარაღებულ ძალებში მომუშავე და მომსახურე ქალების საერთო რაოდენობა 62 000-ს აღემატება. 2014 წელს შეიარაღებულ ძალებში ქალების საერთო რაოდენობა 49 000-ს შეადგენდა, აქედან 16 557 ქალი სამხედრო მოსამსახურე იყო.

## ირლანდიაში ოჯახურ ღირებულებებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან

**ირლანდიაში კონსტიტუციიდან ტრადიციული ოჯახური ღირებულებების ამოღების შესახებ ცვლილებები ამომრჩევლებმა აბსოლუტური უმრავლესობით უარყო.**

9 მარტს გამოცხადებული რეფერენდუმის საბოლოო შედეგების მიხედვით, **ოჯახის კონსტიტუციური განსაზღვრების შეცვლის წინააღმდეგი ამომრჩეველთა 67.7% იყო, ოჯახის მოვლის შესახებ ცვლილებებისა კი 73.9%. ცვლილებების მომხრეებს სურდათ, რომ ოჯახის განმარტება ქორწინებას გასცდეს და სხვა ყველა მყარი და ხანგრძლივი ურთიერთობა მოიცვას. მეორე ცვლილება კი გულისხმობდა, რომ კონსტიტუციიდან ამოეღოთ მითითებები ოჯახში ქალის როლსა და მოვალეობაზე და ჩაენაცვლებინათ ის ახალი მუხლით, რომელიც მიუთითებდა, რომ ზრუნვა მიიჩნეოდა არა მხოლოდ დედის, არამედ სრული ოჯახის პასუხისმგებლობად.**

## პაკისტანში მკრეხელობაც კი სიკვდილით ისჯება!

**პაკისტანის სასამართლომ 22 წლის სტუდენტი WhatsApp-ში გაგზავნილის შეტყობინებების გამო მკრეხელობაში დაადანაშაულა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**

პენჯაბის სასამართლოს განცხადებით, განსასჯელმა სოციალურ ქსელში ფოტო და ვიდეო მასალა გაავრცელა, რომლის მიზანი მუსლიმების რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა იყო. ამავე საქმეზე სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 17 წლის ახალგაზრდას. ორივე მათგანი ბრალდებას უარყოფს. პაკისტანში მკრეხელობა სიკვდილით ისჯება. ზოგიერთი ეჭვმიტანილი ლინჩის წესით მანამდე გაასამართლეს, სანამ მათი საქმე სასამართლოს გადაეცემოდა.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 13 მარტს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6576; ევრო - 2.8949;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3884;
100 რუბლი - 2.9277; თურქული ლირა - 0.0838;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5629;
1000 სომხური დრამი - 6.5883

**ამინდი 11 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –5, | დღე +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge